# სააქციო საზოგადოება „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი–საქართველო"

**ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

# სააქციო საზოგადოება
# „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი–საქართველო"

## სარჩევი


| | გვერდი |
|---|---|
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე | 1 |
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა | 2 |
| ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის: | |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 3 |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 4 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება | 5 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება | 6-7 |
| ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები | 8-60 |

1. ორგანიზაცია
2. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მნიშვნელოვანი სახეობები
3. ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები
4. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება
5. ფული და ფულის ექვივალენტები
6. მოთხოვნები ბანკების მიმართ
7. კლიენტებზე გაცემული სესხები
8. გასაყიდად არსებული ინვესტიციები
9. ძირითადი საშუალებები
10. სხვა აქტივები
11. გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები
12. ბანკების დეპოზიტები
13. კლიენტების დეპოზიტები
14. რეზერვები
15. ნასესხები სახსრები
16. სხვა ვალდებულებები
17. სუბორდინირებული სესხი
18. სააქციო კაპიტალი
19. წმინდა საპროცენტო შემოსავალი
20. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე
21. საკომისიო შემოსავლები
22. საოპერაციო ხარჯები
23. მოგების გადასახადი
24. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები
25. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება
26. კაპიტალის რისკის მართვა
27. რისკის მართვის პოლიტიკა
28. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან
29. შემდგომი მოვლენები
30. ფინანსური ანგარიშების დამტკიცება

**სააქციო საზოგადოება**
**„აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი–საქართველო"**

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველოს" („ბანკი") ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ბანკის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ბანკის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2016 წლის 21 მარტს.

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

| | |
|---|---|
| **გენერალური დირექტორი**<br>**ემილ აბასბაილი** | **მთავარი ბუღალტერი**<br>**გიორგი ნაროუშვილი** |
| 21 მარტი, 2016<br>თბილისი | 21 მარტი, 2016<br>თბილისი |

8-60 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველოს" აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველოს" („ბანკი") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, და შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული დაშვებების შესაფერისობისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

### დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

21 მარტი, 2016
თბილისი, საქართველო

# სააქციო საზოგადოება
# „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი–საქართველო"

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
## 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|---|
| **აქტივები:** | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 5 | 40,354 | 17,037 |
| მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში | | 12,353 | 11,201 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 6, 28 | - | 27,733 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 7, 28 | 80,720 | 82,850 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 8 | 54 | 54 |
| მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივი | | 300 | - |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები | 23 | - | 1,258 |
| ძირითადი საშუალებები | 9 | 10,950 | 997 |
| არამატერიალური აქტივები | | 307 | 332 |
| სხვა აქტივები | 10 | 1,962 | 757 |
| გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები | 11 | - | 6,304 |
| **სულ აქტივები** | | **147,000** | **148,523** |
| **ვალდებულებები:** | | | |
| ვალდებულებები: | | | |
| ბანკების დეპოზიტები | 12, 28 | 43,640 | 62,052 |
| კლიენტების დეპოზიტები | 13, 28 | 40,065 | 18,284 |
| ნასესხები სახსრები | 15, 28 | 2,427 | 22,901 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები | | - | 450 |
| გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები | 23 | 2,737 | - |
| ნარიცხები | 14 | - | 3,110 |
| სხვა ვალდებულებები | 16 | 100 | 246 |
| სუბორდინირებული სესხები | 17, 28 | 16,767 | 13,047 |
| **სულ ვალდებულებები** | | **105,736** | **120,090** |
| **კაპიტალი:** | | | |
| **ბანკის მფლობელთა კაპიტალი:** | | | |
| სააქციო კაპიტალი | 18 | 22,688 | 22,688 |
| ქონების გადაფასების რეზერვი | | 204 | 204 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 18,372 | 5,541 |
| **სულ კაპიტალი** | | 41,264 | 28,433 |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **147,000** | **148,523** |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

| | |
|---|---|
| **გენერალური დირექტორი** | **მთავარი ბუღალტერი** |
| **ემილ აბასბაილი** | **გიორგი ნაროუშვილი** |
| 21 მარტი, 2016 | 21 მარტი, 2016 |
| თბილისი, საქართველო | თბილისი, საქართველო |

8-60 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## სააქციო საზოგადოება „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი–საქართველო"

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | 2015 | 2014 |
|---|---|---|---|
| **მიმდინარე ოპერაციები** | | | |
| საპროცენტო შემოსავალი | 19, 28 | 15,196 | 12,520 |
| საპროცენტო ხარჯი | 19, 28 | (7,161) | (5,893) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის აღდგენამდე/(ხარჯამდე) | | 8,035 | 6,627 |
| საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე გაუფასურების აღდგენა/(ზარალი) | 7 | 3,357 | (2,250) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | | **11,392** | **4,377** |
| წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე | 20 | 2,481 | 1,287 |
| საკომისიო შემოსავალი | 21, 28 | 1,444 | 1,071 |
| საკომისიო ხარჯი | | (434) | (243) |
| შემოსავალი ფლობილი გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან | 11 | 2,939 | - |
| სხვა ანარიცხების აღდგენა/(ხარჯი) | 14 | 3,110 | (1,572) |
| სხვა ხარჯები, წმინდა | | (302) | (16) |
| **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | | **9,238** | **527** |
| **საოპერაციო შემოსავალი** | | **20,630** | **4,904** |
| საოპერაციო ხარჯები | 22, 28 | (3,106) | (2,985) |
| **მოგება მოგების გადასახადამდე** | | **17,524** | **1,919** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 23 | (4,693) | (296) |
| **პერიოდის წმინდა მოგება** | | **12,831** | **1,623** |
| **სხვა სრული შემოსავალი** | | | |
| წმინდა მოგება ქონების გადაფასებიდან | | - | 179 |
| მოგების გადასახადი | | - | (27) |
| **სხვა სრული შემოსავალი მოგების გადასახადის შემდეგ** | | **-** | **152** |
| **სულ სრული შემოსავალი** | | **12,831** | **1,775** |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

____________________________

**გენერალური დირექტორი**
**ემილ აბასბაილი**

21 მარტი, 2016
თბილისი, საქართველო

____________________________

**მთავარი ბუღალტერი**
**გიორგი ნაროუშვილი**

21 მარტი, 2016
თბილისი, საქართველო

8-60 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სააქციო საზოგადოება**
**„აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი–საქართველო"**

**კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**
**2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**
***(ათასობით ლარში)***

| | შენიშვნა | სააქციო კაპიტალი | ქონების გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება | სულ ბანკის მფლობელთა კაპიტალი |
|---|---|---|---|---|---|
| **1 იანვარი, 2014** | | **22,688** | **52** | **4,826** | **27,566** |
| პერიოდის წმინდა მოგება | | - | - | 1,623 | 1,623 |
| სხვა სრული შემოსავლები გადასახადის შემდეგ | | - | 152 | - | 152 |
| გამოცხადებული დივიდენდები | | - | - | (908) | (908) |
| **31 დეკემბერი, 2014** | | **22,688** | **204** | **5,541** | **28,433** |
| პერიოდის წმინდა მოგება | | - | - | 12,831 | 12,831 |
| **31 დეკემბერი, 2015** | | **22,688** | **204** | **18,372** | **41,264** |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

**გენერალური დირექტორი**
**ემილ აბასბაილი**

21 მარტი, 2016
თბილისი, საქართველო

**მთავარი ბუღალტერი**
**გიორგი ნაროუშვილი**

21 მარტი, 2016
თბილისი, საქართველო

8-60 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## სააქციო საზოგადოება
## „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი–საქართველო"

### ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
### 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | 2015 | 2014 |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:** | | | |
| მოგება მოგების გადასახადამდე | | 17,524 | 1,919 |
| არაფულადი ელემენტების კორექტირება: | | | |
| გაუფასურების დანაკარგების რეზერვის (აღდგენა) / ხარჯი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე | 7 | (3,357) | 2,250 |
| ანარიცხების (აღდგენა)/ხარჯი სხვა ოპერაციებზე | 14 | (3,110) | 1,572 |
| გაუფასურების რეზერვი სხვა აქტივებზე | | 302 | - |
| მოგება გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან | 11 | (2,939) | - |
| ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან | | - | 53 |
| უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება | 20 | (185) | (103) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 22 | 330 | 306 |
| დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება | | (4,217) | (3,136) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები, საოპერაციო აქტივებში, ვალდებულებებსა და გადასახადებში ცვლილებებამდე** | | 4,348 | 2,861 |
| **ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში** | | | |
| (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში: | | | |
| მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში | | 819 | 4,305 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | | 27,733 | (27,923) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | 21,232 | (9,006) |
| სხვა აქტივები | | 206 | 106 |
| ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში: | | | |
| ბანკების დეპოზიტები და მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | | (17,267) | 19,324 |
| კლიენტების დეპოზიტები | | 13,428 | 3,818 |
| სხვა ვალდებულებები | | (146) | 75 |
| ფულადი სახსრების შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან, დაბეგვრამდე | | 50,353 | (6,440) |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | (1,446) | (279) |
| **ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან** | | 48,907 | (6,719) |
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:** | | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | | (10,206) | (130) |
| შემოსავალი გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან | 11 | 9,243 | - |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | | (52) | (168) |
| **ფულადი სახსრების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან** | | (1,015) | (298) |

## სააქციო საზოგადოება
## „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი–საქართველო"

### ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში (გაგრძელება)
### 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | 2015 | 2014 |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:** | | | |
| სხვა ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი | | 2,201 | - |
| სხვა ნასესხები სახსრების გადახდა | | (29,256) | - |
| გადახდილი დივიდენდები | | - | (908) |
| **ფულადი სახსრების წმინდა გადინება საფინანსო საქმიანობიდან** | | (27,055) | (908) |
| ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებული ფულის ნაშთებზე | | 2,480 | 634 |
| **წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში** | | 23,317 | (7,291) |
| **ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში** | 5 | 17,037 | 24,328 |
| **ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს** | 5 | 40,354 | 17,037 |

2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 8,346 და 12,128 ათასი ლარი. 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 5,608 ათასი და 9,099 ათასი ლარი.

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

**გენერალური დირექტორი**
**ემილ აბასბაილი**

21 მარტი, 2016
თბილისი, საქართველო

**მთავარი ბუღალტერი**
**გიორგი ნაროუშვილი**

21 მარტი, 2016
თბილისი, საქართველო

8-60 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 1. ორგანიზაცია

სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო" („ბანკი") არის სააქციო ბანკი, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2007 წელს. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ") და საკუთარ საქმიანობას ახორციელებს გენერალური ლიცენზიის №0110242 საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, უცხოური ვალუტით ვაჭრობა, სესხების და გარანტიების გაცემა და მომხმარებელთა დეპოზიტების მოზიდვა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0144, ბოჭორმის ქუჩა №18.

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნდა ერთი ფილიალი საქართველოში.

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მიერ გამოშვებულ აქციებს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

| აქციონერი | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| **პირველი დონის აქციონერი:** | | |
| ღსს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი" (აზერბაიჯანი) | 75.00% | 75.00% |
| ღსს „აზერბაიჯანის ინდუსტრიული ბანკი" (აზერბაიჯანი) | 12.50% | 12.50% |
| ივანე ჩხარტიშვილი (საქართველო) | - | 12.50% |
| მიხეილ ჩხარტიშვილი (საქართველო) | 6.25% | - |
| ნათია ჩხარტიშვილი (საქართველო) | 6.25% | - |
| **სულ** | **100.00%** | **100.00%** |

ბანკი საბოლოოდ ექვემდებარება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის კონტროლს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2016 წლის 21 მარტს.

## 2. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მნიშვნელოვანი სახეობები

**შესაბამისობის ანგარიში.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს მუშაობას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე გარდა გარკვეული ქონებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელთა ღირებულება წარმოდგენილია თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულებით, როგორც ეს ქვემოთ ახსნილია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის აღწერაში.

ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას ბანკი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ბანკი რეგისტრირებულია საქართველოში და სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული კანონით განსაზღვრული საბუღალტრო ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფასს-ის მიხედვით.

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 27-ე შენიშვნაში.

**ფუნქციონალური ვალუტა.** ბანკის თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). ბანკის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ბანკის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

**ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს იურიდიული უფლება, მოახდინოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს ურთიერთჩათვალოს იგი წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულები. ბანკი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან ბანკის ბუღალტრული პოლიტიკით.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

***საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების აღიარება.*** ფინანსური აქტივიდან საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც ივარაუდება ჯგუფის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღება და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებულ ღირებულებას, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტების ჩათვლით) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

***საკომისიო შემოსავლების აღიარება.*** სესხის გაცემის საკომისიო გადავადდება სესხთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღიარდება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. თუ სავარაუდოა, რომ სასესხო ვალდებულება შედეგად, სესხების კონკრეტულ გარიგებას მოიტანს, მაშინ სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება სესხთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღიარდება, როგორც შესაბამისი სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. თუ სავარაუდო არ არის, რომ სასესხო ვალდებულება შედეგად სესხების კონკრეტულ გარიგებას მოიტანს, სასესხო ვალდებულების საკომისიო აღიარდება მოგება-ზარალში ამ ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. თუ სასესხო ვალდებულების ვადა დასრულდა სესხის გაცემის გარეშე, სასესხო ვალდებულების საკომისიო აღიარდება ვადის გასვლის შემდეგ მოგება-ზარალში. სესხის მომსახურების საკომისიო შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის შემდეგ.

***ფინანსური ინსტრუმენტები.*** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ხდება მაშინ, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის შესყიდვისა და გაყიდვის აღიარება ხორციელდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. რეგულარული ხასიათის შესყიდვა-გაყიდვა არის ფინანსური აქტივების ისეთი შესყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს აქტივის მიწოდებას ბაზარზე დადგენილი წესით ან შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში.

***ფინანსური აქტივები.*** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებად,"დაფარვის ვადამდე ფლობილ" ინვესტიციებად „გასაყიდად არსებულ" ფინანსურ აქტივებად და „სესხებად და მოთხოვნებად". კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ბანკის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში, მოთხოვნები ბანკების მიმართ და სესხები და მოთხოვნები.

<u>ფული და ფულის ექვივალენტები.</u> ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საქართველოს ეროვნულ ბანკში („სებ") განთავსებულ შეუზღუდავ საკორესპონდენტო და ვადიან დეპოზიტებს, რომელთა საწყისი დაფარვის ვადა განისაზღვრება 90 დღით ან ნაკლებით და, საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები თანხები, რომელთა საწყისი დაფარვის ვადა განისაზღვრება 90 დღით ან ნაკლებით და თავისუფალია საკონტრაქტო ვალდებულებებისგან.

<u>მინიმალური სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში.</u> მინიმალური სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ) აისახება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს საპროცენტო სარგებლის არმქონე სავალდებულო რეზერვს, რომელიც არ გამოიყენება ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში და შესაბამისად არ განიხილება ფულისა და ფულის ექვივალენტების შემადგენლობაში ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის.

<u>გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები.</u> გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ინსტრუმენტები, რომლებიც ან კონკრეტულად სახელდება, როგორც გასაყიდად განკუთვნილი, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან (გ) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები.

გასაყიდად განკუთვნილი წილობრივი ინვესტიციები, რომლებზეც აქტიურ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი და რომელთა რეალური ღირებულების სარწმუნოდ განსაზღვრა შეუძლებელია, იზომება ღირებულებით, რომელსაც აკლდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოვლენილი გაუფასურების ხარჯი.

<u>სესხები და მოთხოვნები.</u> სავაჭრო მოთხოვნები, სესხები და სხვა მოთხოვნები განსაზღვრული ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე (მათ შორის ბანკების მიმართ მოთხოვნების ნაშთები, კლიენტების სესხები და სხვა ფინანსური აქტივები), კლასიფიცირდება როგორც „სესხები და მოთხოვნები". სესხები

და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელიც არ არის არსებითი.

<u>ფინანსური აქტივების გაუფასურება.</u> მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გარდა სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

ბირჟაზე კოტირებული და არაკოტირებული წილობრივი ინვესტიციების შემთხვევაში, თუ ისინი კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად განკუთვნილი, ფასიანი ქაღალდის რეალური ღირებულების მის თვითღირებულებაზე დაბლა ხანგრძლივად ან მნიშვნელოვნად დავარდნა ითვლება გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებად.

ყველა სხვა ფინანსური აქტივის შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადახდისუუნარობას, ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას;
- მსესხებლის გაკოტრებას, ან ფინანსურ რეორგანიზაციას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად როგორიცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფური გაუფასურების თვალსაზრისით. სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური საფუძველი მოიცავს ბანკის წარსულ გამოცდილებას გადახდებთან მიმართებაში, პორტფელში ვადაგადაცილებული გადახდების რაოდენობის ზრდასა და ეროვნული, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების თვალსაჩინო ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოთხოვნების ამოღების შეუძლებლობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.
თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით გარდა სესხებისა და მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის, ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოწურულია იგი ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება რეზერვის ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგებასა და ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

***სესხები, კონტრაქტის შეცვლილი პირობებით.*** სადაც შესაძლებელია ბანკი ცდილობს უზრუნველყოფის დასაკუთრების მაგივრად მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გაზრდასა და ახალი სესხის პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი საპროცენტო გადაკვეთის გამოყენებით, როგორც გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება გადავადებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება. სესხები კვლავ ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

***სესხებისა და ავანსების ჩამოწერა.*** სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა ბანკის მიმართ მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა და ბანკმა მოახდინა ყველა შესაძლო უზრუნველყოფის რეალიზება. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღდგენის პერიოდში აისახება.

***ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.*** ბანკის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურა, ან თუ ბანკმა სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები. თუ ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ მოგება-ზარალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგებასა ან ზარალის ჯამს შორის სხვაობა, აღიარებას მოგებასა და ზარალში ექვემდებარება.

***ფინანსური ვალდებულებები და გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები***

<u>კლასიფიკაცია სესხის ან წილის სახით.</u> ბანკის სუბიექტის მიერ გამოშვებული ესხისა და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების არსისა და ფინანსური ვალდებულების და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებიდან გამომდინარე.

<u>წილობრივი ინსტრუმენტები.</u> წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ბანკის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ბანკის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

<u>ფინანსური ვალდებულებები.</u> ფინანსური ვალდებულებები, ბანკების დეპოზიტების, კლიენტების დეპოზიტების, ნასესხები სახსრების, სუბორდინირებული სესხისა და სხვა ვალდებულებების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

შემდგომში სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ხოლო საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური მოგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას. მისი საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების (მათ შორის არის ყველა გადახილი ან მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

<u>ფინანსური გარანტიის კონტრაქტები.</u> ფინანსური გარანტიის კონტრაქტი წარმოადგენს კონტრაქტს, რომელიც ითვალისწინებს გადახდას კომპენსაციის სახით, იმ შემთხვევაში, თუ დებიტორი სასესხო ინსტრუმენტის თავდაპირველი, ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად ვერ შეძლებს დროულად გადახდას.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით, ხოლო თუ მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით არ არის ასახული, შესაბამისად ფასდება მეტი თანხით შემდეგ თანხებს შორის:

- თანხა, რომელიც აღიარებულია ანარიცხების სახით, ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები"-ს შესაბამისად; და
- თავდაპირველად აღიარებული ღირებულებით თუ მისაღებია შემოსავლების დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით შემოსავლების აღიარების პოლიტიკის საფუძველზე.

<u>ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა.</u> ბანკი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

***იჯარა.*** იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ მისი პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა მოიჯარეს. იჯარის ყველა სხვა სახეობა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

<u>ბანკი, როგორც მოიჯარე.</u> საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივ საფუძველზე საიჯარო პერიოდის განმავლობაში. ეს არ ეხება შემთხვევებს, როდესაც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სტრუქტურას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს. საოპერაციო იჯარის გამო წარმოშობილი გაუთვალისწინებელი იჯარა აღიარდება როგორც ხარჯი ამ ხარჯის გაწევის პერიოდში.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად გათვალისწინებულია შეღავათები, ხდება მათი, როგორც ვალდებულების აღიარება. შეღავათების ჯამური

სარგებელი აღიარდება ხარჯად წრფივ საფუძველზე. ეს არ ეხება შემთხვევებს, როდესაც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სტრუქტურას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს.

***დასაკუთრებული ქონება.*** გარკვეულ გარემოებებში აქტივების დასაკუთრება ხდება კრედიტის გადაუხდელობის შემთხვევაში. დასაკუთრებული ქონების შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებისა და რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უმცირესი ღირებულებით.

***ძირითადი საშუალებები.*** ცვეთა აღიარებულია ისე, რომ ღირებულება ჩამოიწეროს (გარდა მიწისა და მიმდინარე მშენებლობები) მათი სასარგებლო მოხმარების პერიოდის მანძილზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. დადგენილი სასარგებლო მოხმარების პერიოდი და ცვეთის მეთოდი განხილულია თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასების, ნებისმიერ ცვლილების ეფექტის გათვლისწინებით, რომლის აღიარებაც ხდება წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდიდან ყველაზე ადრეულთაგან მოყოლებული შემდეგი წლიური განაკვეთით:

| | |
|---|---|
| შენობები | 5% |
| საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობები | 25% |
| ავეჯი და ინვენტარი | 25% |
| ტრანსპორტი | 25% |
| სხვა | 25-33% |

მიწის, შენობებისა და დაუმთავრებელი მშენებლობის გადაფასების შედეგად გაზრდილი ღირებულება აღირიცხება სხვა სრულ შემოსავლებში და გროვდება კაპიტალში, თუკი ის ამცირებს წინა პერიოდებში მოგება-ზარალში აღიარებულ გადაფასების შედეგად მიღებულ ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში, ზრდა აღირიცხება მოგება-ზარალში წინა პერიოდში აღიარებული ხარჯების ოდენობით. მიწის, შენობებისა და დაუმთავრებელი მშენებლობის გადაფასების შედეგად გამოწვეული საბალანსო ღირებულების შემცირება მოგება-ზარალში აღირიცხება იმ თანხით, რა ოდენობითაც ის აღემატება წინა პერიოდში წარმოშობილი ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ბალანსს.

დაუმთავრებელი მშენებლობები, რომელთა საბოლოო მიზანი წარმოადგენს წარმოებას, მიწოდებას ან ადმინისტრაციულ მომსახურებას, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ღირებულებით, გაუფასურების აღიარებული დანაკარგების გამოკლებით. ეს ღირებულება მოიცავს პროფესიულ ანაზღაურებას და, კვალიფიცირებული აქტივებისათვის, ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებულ სესხების ხარჯებს. ასეთი ქონება დასრულების შემდეგ, როდესაც მათი მიზნობრივად გამოყენება უკვე შესაძლებელია, კლასიფიცირდება ძირითადი საშუალებების შესაბამის კატეგორიებად. ამ აქტივების, ისევე, როგორც სხვა ძირითადი საშუალებების, ცვეთა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შესაძლებელი ხდება მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება.

გადაფასებული შენობების ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასებული ძირითადი საშუალებების შემდგომი გაყიდვისას, რეალიზაციისა და ჩამოწერისას გადაფასების ნარჩენი ღირებულება, რომელიც გადაფასების რეზერვში რჩება პირდაპირ აისახება გაუნაწილებელ მოგებაში.

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესების ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის მიხედვით. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას, თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალება ჩამოიწერება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოყენების შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ძირითადი საშუალებების ერთეულების გაყიდვით ან ჩამოწერით მიღებული მოგება ან

ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგებასა და ზარალში.

*არამატერიალური აქტივები*

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები. ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი ექსპლუატაციის ხუთწლიანი ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით. სარგებლობის განუსაზღვრელი ვადის მქონე, ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის გამოკლებით.

არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგებასა და ზარალში აქტივის რეალიზაციისას.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა. არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც მისი გამოყენების ან რეალიზაციის შედეგად სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი მოგება ან ზარალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა რეალიზაციის წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალში მისი აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება გუდვილის გარდა

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკი განიხილავს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულება ფასდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა ბანკი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გენერირების ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველი არსებობს.

განუსაზღვრელი მოხმარების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და ისეთი არამატერიალური აქტივები, რომლებიც ჯერ მოსახმარად მზად არაა, გაუფასურებაზე მოწმდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ ან ნებისმიერი ნიშნისას, რომ აქტივი შეიძლება გაუფასურებული იყოს.

აღდგენითი ღირებულება არის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულებას შორის უმეტესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დღევანდელ ღირებულებამდე ექვემდებარება დისკონტირებას გადასახადამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს არსებული ბაზრის შეფასებას ფულის ღირებულებით დროში და ითვალისწინებს აქტივისათვის დამახასიათებელ რისკებს, რომელთა საფუძველზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების კორექტირება არ განხორციელებულა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება დაუყოვნებლივ მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯი განიხილება, როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

გაუფასურების გაუქმების შემთხვევაში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება გაუქმებული თანხით ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ნარჩენ ღირებულებას, რომლის აღიარებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) გაუფასურების დანაკარგების აღიარება არ განხორციელებულა. გაუფასურების დანაკარგების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯის გაუქმება განიხილება, როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

***გადასახადები.*** მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს ამჟამად გადასახდელი და გადავადებული გადასახადების ჯამს.

***მიმდინარე გადასახადი.*** მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

***გადავადებული გადასახადი.*** გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გასაქვითი გადასახადი, რომელიც მოსალოდნელია წარმოიქმნას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობაზე შესაბამის დასაბეგრ ბაზაზე, რომელიც გამოიყენება დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისათვის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომელსაც გამოაკლდება გამოსაქვითი დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომელიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე ბუღალტრულ მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე (საგადასახადო კანონმდებლობა), რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბანკის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას, ან დაფარვას.

***მიმდინარე და გადავადებული გადასახადები მოცემული წლისათვის.*** მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალში. ეს არ ეხება ისეთ გადასახადებს,

რომლებიც დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ კომპონენტებს, რა შემთხვევაშიც მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღიარება აგრეთვე ხდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, კონტექსტისდა მიხედვით.

***საოპერაციო გადასახადები.*** საქართველოს ასევე გააჩნია სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ბანკის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

***ანარიცხები.*** ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

ანარიცხებად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად ფინანსური მდგომარეობის საანგარიშგებო პერიოდისათვის ვალდებულების გარშემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ფულადი სახსრების მოძრაობიდან მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვის ფორმირებას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, როდესაც გადახდა ნამდვილად სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

***დამამძიმებელი კონტრაქტები.*** დამამძიმებელი კონტრაქტების შედეგად წარმოშობილი მიმდინარე ვალდებულებები აღიარდება და იზომება, როგორც რეზერვები. დამამძიმებლად ითვლება კონტრაქტი, რომლის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გარდაუვალი ხარჯები ამ კონტრაქტიდან მოსალოდნელ ეკონომიკურ სარგებელს აჭარბებს.

***პირობითი ვალდებულებები.*** პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდევი.

***უცხოური ვალუტა.*** ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბანკის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარება გადაფასებას. საკურსო სხვაობები ფულად ერთეულებზე აისახება მოგება-ზარალში.

ბანკმა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები:

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 2.3949 | 1.8636 |
| ლარი/1 ევრო | 2.6169 | 2.2656 |

***უზრუნველყოფა.*** ბანკი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, სადაც ეს ითვლება მართებულად. ჩვეულებრივ უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების

დაყადაღებას და ბანკს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებზე.

***კაპიტალის რეზერვები.*** ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კაპიტალში ასახული რეზერვები (სხვა სრული შემოსავალი) მოიცავს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, რომელიც, თავის მხრივ, შედგება მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვისაგან.

***გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები.*** გრძელვადიანი აქტივები და სარეალიზაციო ჯგუფები გასაყიდად ფლობილ ჯგუფში კლასიფიცირდება, თუ მათი საბალანსო ღირებულების ამოღება მთლიანობაში მოხდება არა გამოყენების, არამედ გაყიდვის ტრანზაქციის შედეგად. ეს პირობა მხოლოდ მაშინ ითვლება დაკმაყოფილებულად, თუ შესაძლებელია აქტივის (ან სარეალიზაციო ჯგუფის) დაუყოვნებელი რეალიზაცია არსებული მდგომარეობით, ხოლო გაყიდვის პირობები ჩვეულებრივია, ამგვარი აქტივის (ან სარეალიზაციო ჯგუფის) გაყიდვისთვის დამახასიათებელი და მისი გაყიდვა ძალზედ სავარაუდოა. ხელმძღვანელობას განზრახული უნდა ჰქონდეს აქტივის გაყიდვა. ხოლო ამგვარი გაყიდვის აღიარება დასრულებულ რეალიზაციად უნდა მოხდეს კლასიფიკაციიდან ერთი წლის განმავლობაში.

გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები (და სარეალიზაციო ჯგუფი) აღირიცხება, ერთი მხრივ, წინა საბალანსო ღირებულებას და, მეორე მხრივ, რეალური ღირებულებისა და რეალიზაციის ხარჯების სხვაობას შორის უმცირესი ოდენობით.

## 3. ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასების არასარწმუნოობის უმთავრესი წყაროები

ბანკის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

**შეფასების არასარწმუნოობის უმთავრესი წყაროები.** ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასების არასარწმუნოობის მომავალ და სხვა ძირითად წყაროებთან დაკავშირებული შემდეგი უმთავრესი დაშვებები, რომლებიც ატარებს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

**სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება.** ბანკი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებსა და მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ბანკი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ბანკი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეუსაბამობის მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ბანკის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ბანკის მხრიდან რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბანკის ხელმძღვანელობა ეყრდნობა პროფესიულ განსჯას ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ბანკი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს უარყოფით ცვლილებებზე ბანკში შემავალი მსესხებლის გადახდისუნარიანობის და ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ბანკში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არ არსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ბანკი ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას იყენებს და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს იმ მიმდინარე გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ბანკისთვის ამ ეტაპზე რთულია იმის პროგნოზი თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადექვატურობაზე.

2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემულმა სესხებმა მთლიანად შეადგინა 95,626 და 101,113 ათასი ლარი შესაბამისად, ხოლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა შეადგინა 14,906 და 18,263 ათასი ლარი შესაბამისად.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა.** გარკვეული ტიპის ძირითადი საშუალებები (მიწა და შენობები) წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით. უკანასკნელი შეფასების თარიღია 2014 წლის 31 დეკემბერი. 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაფასებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 10,060 და 633 ათას ლარს, შესაბამისად.

## 4. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

**ფასს-ის შესწორებები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე ახდენს ზეგავლენას.** მიმდინარე წელს ბანკმა მიიღო შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რამაც ზეგავლენა მოახდინა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

- შესწორება ბასს 19 - განსაზღვრული საპენსიო გეგმები: თანამშრომელთა შენატანები
- ფასს 2010-2012 წლიური შესწორების ციკლი
- ფასს 2011-2013 წლიური შესწორების ციკლი.

**ფასს-ების წლიური შესწორების 2010-2012 წლების ციკლი.** ფასს-ების 2010-2012 წლების ციკლი მოიცავს რამდენიმე ქვემოთ მოცემულ შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ პირობითი ანაზღაურება, რომელიც აქტივად ან ვალდებულებად კლასიფიცირდება, უნდა გაიზომოს რეალური ღირებულებით ანგარიშგების დღეს იმის მიუხედავად, არის თუ არა პირობითი ანაზღაურება ფინანსური ინსტრუმენტი ბასს 39 თუ ფასს 9-ის მიხედვით, თუ იგი არაფინანსური აქტივი ან ვალდებულებაა.

ფასს 13-ის შესწორება განმარტავს, რომ ამ სტანდარტის გამოცემა და ბასს 39-ისა და ფასს 9-ის შემდგომი შესწორებები არ უკარგავს პირს იმის შესაძლებლობას, რომ დისკონტირების გარეშე გაზომოს ისეთი მოკლევადიანი მოთხოვნები და გადასახდელები, რომლებსაც საინვოისე თანხაში საპროცენტო განაკვეთი დადგენილი არ აქვს, თუ დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა. ეს შესწორებები ძალაში მყისიერად შესულად ითვლება.

ბასს 16-ისა და ბასს 38-ის შესწორებებით აღმოფხვრილია შეუსაბამობები დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაციის აღრიცხვაში ძირითადი საშუალების ან არამატერიალური აქტივების ერთეულის გადაფასებისას. შესწორებული სტანდარტები განმარტავს, რომ მთლიანი საბალანსო ღირებულება კორექტირდება აქტივის საბალანსო ღირებულების გადაფასების შესაბამისი გზით და რომ დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია არის სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის დაგროვილი ცვეთის დანაკარგების გათვალისწინების შემდეგ.

ბასს 24-ის შესწორება განმარტავს, რომ ანგარიშვალდებული პირის დაკავშირებულ მხარედ განიხილება ისეთი მმართველი პირი, რომელიც ამ ანგარიშვალდებულ პირს მმართველობით მომსახურებას უწევს. შესაბამისად, ანგარიშვალდებულმა პირმა დაკავშირებულ პირთან განხორციელებულ ტრანზაქციებად უნდა ჩათვალოს ის გადახდილი თუ გადასახდელი თანხები, რომლებიც მას დაეკისრა მმართველი პირის მომსახურების მიღების გამო. თუმცა, ამგვარი ანაზღაურების კომპონენტების განმარტების ვალდებულება მას არ აქვს.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასს-ების წლიური შესწორების 2011-2013 წლების ციკლი.** ფასს-ების 2011-2013 წლების ციკლი მოიცავს რამდენიმე ქვემოთ მოცემულ შესწორებას.

ფასს 13-ის შესწორება განმარტავს, რომ წმინდა პოზიციის საფუძველზე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის რეალური ღირებულების გაზომვისას არ გაითვალისწინება ყველა ის კონტრაქტი, რომელიც ექცევა და, შესაბამისად, აღირიცხება ბასს 39-ის ან ფასს 9-ის მიხედვით მაშინაც კი, თუ ეს კონტრაქტები არ აკმაყოფილებს ბასს 32-ით განსაზღვრულ, ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების განსაზღვრებას.

ამ შესწორებათა გამოყენებას ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ექნება.

ბანკს წინმსწრებად არ გამოუყენებია რაიმე სხვა სტანდარტი, შესწორება ან ინტერპრეტაცია, რომელიც უკვე გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა.

**ახალი და შესწორებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები**

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და შესწორებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

| **ახალი ან შესწორებული სტანდარტი/ინტერპრეტაცია** | **ძალაში შესვლის თარიღი**[1] წლიური პერიოდები მოცემული თარიღიდან |
|---|---|
| ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები | 2018 წლის 1 იანვარი |
| ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან | 2018 წლის 1 იანვარი |
| ფასს 16 - იჯარა | 2019 წლის 1 იანვარი |
| შესწორება ფასს 11 - ერთობლივ საქმიანობაში წილის შესყიდვის აღრიცხვა | 2016 წლის 1 იანვარი |
| შესწორება ბასსს 1 - თანხების ჩვენების ინიციატივა | 2016 წლის 1 იანვარი |
| შესწორება ბასს 16 და ბასს 38 - ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება | 2016 წლის 1 იანვარი |
| შესწორება ბასს 16 და ბასს 41 - სოფლის მეურნეობა: მსხმოიარე მცენარეები | 2016 წლის 1 იანვარი |
| შესწორება ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების ყიდვა-გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მასთან დაკავშირებულ პირს ან ერთობლივ საწარმოს შორის | თარიღს დაადგენს ბასს საბჭო[2] |
| შესწორება ფასს 10, ფასს 12 და ბასს 28 - საინვესტიციო საწარმოები: კონსოლიდირების გამონაკლისის გამოყენება | 2016 წლის 1 იანვარი |
| ფასს 14 - ტარიფების გადავადებული კორექტირების ანგარიშები | 2016 წლის 1 იანვარი |
| შესწორება ბასს 27 - წილობრივი მეთოდის გამოყენება განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში | 2016 წლის 1 იანვარი |
| ფასს წლიური შესწორებების 2012-2014 ციკლი | 2016 წლის 1 იანვარი |
| შესწორება ბასს 12 - არარეალიზებული ზარალისათვის გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება | 2017 წლის 1 იანვარი |

1. წინსწრებით გამოყენება დაშვებულია ყველა ახალი ან შესწორებული სტანდარტის ან ინტერპრეტაციის შემთხვევაში. ფასს 16-ის წინსწრებით გამოყენება შესაძლებელია, თუ პირი ასევე იყენებს ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან არსებული კონტრაქტებიდან.
2. შესწორება თავდაპირველად გამოვიდა 2014 წლის სექტემბერში და ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 1 იანვარი. 2015 წლის დეკემბერში საბჭომ ამ

შესწორებების ძალაში შესვლა გადაავადა წილობრივ მეთოდზე კვლევითი პროექტის დასრულებამდე.

**ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები**

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა**. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია "რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში". აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- **გაუფასურება.** ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის "მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის" მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** ჰეჯირების აღრიცხვის ახალ მოთხოვნაში შენარჩუნებულია ბასს 39-ში ამჟამად განსაზღვრული მექანიზმების სამი ტიპიფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და ასევე არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა "ეკონომიკური ურთიერთობის" პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო

ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვაც. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ბანკის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაჩვენებ თანხებზე. თუმცა, დეტალური შემოწმების გარეშე ფასს 9-ის ეფექტზე ადეკვატური მსჯელობა არაგონივრული იქნებოდა.

**ფასს 15 –** ***შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.***

ფასს 15 კომპანიებს უწესებს ერთ მრავალმხრივ მოდელს, რომელსაც ისინი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღრიცხვაში გამოიყენებენ. ძალაში შესვლით ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ წესებს, რომლებიც გათვალისწინებულია სტანდარტებით ბასს 18 - შემოსავალი, ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებული ინტერპრეტაციებით.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე "კონტროლი" კლიენტს გადაეცემა.

ფასს 15-ში კონკრეტული სცენარებისათვის უფრო დაწვრილებითი ხასიათის ინსტრუქციები დაემატა. იგი ასევე ითვალისწინებს თანხების მეტი დეტალურობით ჩვენებას.

[ჯგუფის ხელმძღვანელობის ვარაუდით, მომავალში ფასს 15-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს აღიარებული შემოსავლის ოდენობასა და აღიარების მომენტზე დროში. თუმცა, ამჟამად სტანდარტის ეფექტის სანდოდ გაზომვა შეუძლებელია დეტალური შემოწმების ჩატარების გარეშე.]

შესწორება ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ით მოიჯარე პირების საბალანსო იჯარების უმეტესობას დაუწესდა ერთიანი მოდელი, გაქრა განსხვავება საოპერაციო და ფინანსურ იჯარას შორის. თუმცა, იჯარის გამცემის მხრივ, აღრიცხვა უცვლელი დარჩა და საოპერაციო და ფინანსურ იჯარას შორის განსხვავება შენარჩუნდა.

ფასს 16-ის მიხედვით, მოიჯარე პირი აღიარებს გამოყენების უფლებით მიღებულ აქტივს და იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებას. ამგვარი აქტივი ბუღალტრულად ისევე მუშავდება, როგორც სხვა არაფინანსური აქტივები. აქტივს ერიცხება ცვეთა, ვალდებულებას კი - პროცენტი. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად იზომება იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი საიჯარო გადასახადის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია იჯარაში მოცემული განაკვეთით ან, თუ ეს უკანასკნელი ადვილად ვერ დგინდება, მოიჯარე სესხის თავის მზარდ განაკვეთს იყენებს.

ისევე, როგორც ბასს 17-ის შემთხვევაში, იჯარით გამცემები იჯარას ყოფენ საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად. ფინანსურად ითვლება ის იჯარა, რომლითაც ხდება შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა შემთხვევაში, იჯარა საოპერაციოდ ითვლება. ფინანსური იჯარის შემთხვევაში, იჯარის გამცემი ფინანსურ შემოსავალს აღიარებს იჯარის ვადის განმავლობაში და, თანაც, სქემის მიხედვით, რომელიც ასახავს წმინდა ინვესტიციაზე მუდმივ და პერიოდულ უკუგების განაკვეთს. იგი საოპერაციო იჯარის გადასახადებს წრფივი მეთოდით აღრიცხავს, როგორც შემოსავალს, ან, იყენებს სისტემატიზაციის სხვა საფუძველს, თუ ეს უკეთ ასახავს იმ სქემას, რომლითაც ის აქტივისგან სარგებელს იღებს.

## 5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული | 930 | 1,403 |
| ნაშთები სებ-ში | 1,820 | 897 |
| საკორესპონდენტო ანგარიშები და ვადიანი დეპოზიტები 30 დღემდე საწყისი დაფარვის ვადით | 37,604 | 14,737 |
| **სულ ფული და ფულის ექვივალენტები** | **40,354** | **17,037** |

## 6. მოთხოვნები ბანკების მიმართ

მოთხოვნები ბანკების მიმართ მოიცავს:

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| ვადიანი ანაბრები | **-** | **27,733** |
| გამოკლებული: გაუფასურების ზარალის რეზერვი | - | - |
| **სულ მოთხოვნები ბანკების მიმართ** | **-** | **27,733** |

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ბანკებთან მოთხოვნების ნაშთებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავლმა შეადგინა 35 ათასი ლარი.

## 7. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 95,626 | 101,113 |
| გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი | (14,906) | (18,263) |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | 80,720 | **82,850** |

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას სექტორების მიხედვით:

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| **იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები** | | |
| მშენებლობა | 39,659 | 70,253 |
| ვაჭრობა და მომსახურება | 28,359 | 15,304 |
| ენერგეტიკა | 21,849 | 10,990 |
| სხვა | 1,985 | 976 |
| **სულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები** | **91,852** | **97,523** |
| **ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები** | | |
| იპოთეკა | 3,130 | 2,798 |
| სამომხმარებლო | 644 | 617 |
| თანამშრომელთა სესხები | - | 40 |
| სხვა | - | 135 |
| **სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები** | 3,774 | **3,590** |
| **კლიენტებზე გაცემული სესხები** | 95,626 | 101,113 |
| გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი | (14,906) | (18,263) |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | **80,720** | **82,850** |

კლიენტებზე გაცემული სესხები, რომელთა ინდივიდუალური მოცულობა აღემატება ბანკის კაპიტალის 10 პროცენტს, 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი იყო, შესაბამისად, შვიდი და ცხრა კლიენტზე გაცემული სესხებით (75,389 და 82,106 ათასი ლარი).

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების უდიდესი ნაწილი (კლიენტებზე გაცემული სესხების 99%) გაცემულია საქართველოში მოქმედ კომპანიებზე, რაც ერთ რეგიონში მნიშვნელოვან გეოგრაფიულ კონცენტრაციას წარმოადგენს.

დასაფარი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | კორპორაციული | ფიზიკური პირები - იპოთეკა | ფიზიკური პირები - სამომხმარებლო | სულ |
|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე, გაუფასურების გარეშე** | | | | |
| უზრუნველყოფილი | 30,783 | - | - | **30,783** |
| უზრუნველყოფის გარეშე | 9,142 | - | - | **9,142** |
| 2015 წელს შეცვლილი პირობებით | 34,717 | - | - | **34,717** |
| **სულ მიმდინარე გაუფასურების გარეშე** | **74,642** | **-** | **-** | **74,642** |
| **სულ ვადაგადაცილებული გაუფასურების გარეშე** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **გაუფასურებული** | | | | |
| მიმდინარე | 1,047 | 282 | 312 | **1,641** |
| <90 დღე ვადაგადაცილება | - | - | - | **-** |
| 90-180 დღე ვადაგადაცილება | 3,929 | - | 1 | **3,930** |
| 180-360 დღე ვადაგადაცილება | - | - | 9 | **9** |
| >360 დღე ვადაგადაცილება | 5,874 | 2,812 | 298 | **8,984** |
| 2015 წელს შეცვლილი პირობებით | 6,360 | 36 | 24 | **6,420** |
| **სულ გაუფასურებული სესხები** | **17,210** | **3,130** | **644** | **20,984** |
| **გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი** | **(11,856)** | **(2,787)** | **(263)** | **(14,906)** |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები** | **79,996** | **343** | **381** | **80,720** |

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი სესხების პორტფელის, შესაბამისად, 68% და 63% უზრუნველყოფილი იყო დეპოზიტებით.

2015 წლის განმავლობაში შეცვლილი პირობებით, გაუფასურების გარეშე არსებული სესხებიდან, რომელთა საბალანსო ღირებულება, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 34,717 ლარს, 86% უზრუნველყოფილია დეპოზიტებით, ამ სესხების 10% კი დაიფარა საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი ბანკის, შესაბამისად, 42,397 და 52,956 ათასი ლარის ოდენობით არსებული დეპოზიტები გამოყენებული იქნა კლიენტებზე გაცემული ზოგიერთი სესხის უზრუნველსაყოფად. ამ დეპოზიტებს ერიცხება საპროცენტო განაკვეთი 7.25%-დან 10.00%-მდე (იხ. შენიშვნა 12).

დასაფარი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | კორპორაციული | ფიზიკურ პირებზე - იპოთეკა | ფიზიკურ პირებზე - სამომხმარებლო | ფიზიკურ პირებზე - თანამშრომლები | ფიზიკურ პირებზე - სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| *მიმდინარე, გაუფასურების გარეშე* | | | | | | |
| უზრუნველყოფილი | 32,773 | 36 | - | - | - | **32,809** |
| უზრუნველყოფის გარეშე | 9,943 | - | - | - | - | **9,943** |
| 2015 წელს შეცვლილი პირობებით | 7,011 | - | - | - | - | **7,011** |
| **სულ მიმდინარე და გაუფასურების გარეშე** | **49,727** | **36** | **-** | **-** | **-** | **49,763** |
| **სულ ვადაგადაცილებული, გაუფასურების გარეშე** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| *გაუფასურებული* | | | | | | |
| - მიმდინარე | 26,995 | 339 | 198 | 40 | - | **27,572** |
| - 90 დღემდე ვადაგადაცილებით | 160 | - | 62 | - | - | **222** |
| - 90-180 დღემდე ვადაგადაცილებით | 4,714 | - | - | - | - | **4,714** |
| - 180-360 დღემდე ვადაგადაცილებით | 1,978 | - | 183 | - | - | **2,161** |
| - 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით | 5,269 | 2,423 | 174 | - | 135 | **8,001** |
| 2015 წელს შეცვლილი პირობებით | 8,680 | - | - | - | - | **8,680** |
| **სულ გაუფასურებული სესხები** | **47,796** | **2,762** | **617** | **40** | **135** | **51,350** |
| **გამოკლებული: სესხის გაუფასურების დანაკარგების რეზერვი** | **(15,237)** | **(2,374)** | **(496)** | **(21)** | **(135)** | **(18,263)** |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები** | **82,286** | **424** | **121** | **19** | **-** | **82,850** |

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ცვლილება:

| | კლიენტებზე გაცემული სესხები |
|---|---|
| **2014 წლის 1 იანვარი** | **16,013** |
| აღიარებული დამატებითი რეზერვები | 2,250 |
| **2014 წლის 31 დეკემბერი** | **18,263** |
| რეზერვის აღდგენა | (3,357) |
| **2015 წლის 31 დეკემბერი** | **14,906** |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულება ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის მიხედვით:

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| სესხები უზრუნველყოფილი დეპოზიტებით | 65,153 | 64,355 |
| სესხები უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით | 6,217 | 7,346 |
| სესხები უზრუნველყოფილი გარანტიებით | 3,391 | 7,788 |
| სესხები უზრუნველყოფილი სატრანსპორტო საშუალებებით და დანადგარებით | 90 | 85 |
| სესხები უზრუნველყოფის გარეშე | 20,775 | 21,539 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 95,626 | 101,113 |
| გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგის რეზერვი | (14,906) | (18,263) |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | **80,720** | **82,850** |

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონკრეტულ სესხებზე უზრუნველყოფის სახით შეტანილი დეპოზიტების, შესაბამისად, 65% და 83% ეკუთვნის დამფუძნებელ ბანკს.

2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკმა აღიარა არაფინანსური აქტივები უზრუნველყოფის დასაკუთრების გზით. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეს აქტივები 302 ათასი და ნული ლარის ოდენობით შედის სხვა აქტივებში, როგორც დასაკუთრებული აქტივები. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივი ჯერ რეალიზებული არ იყო და ხელმძღვანელობას არ გააჩნდა მისი გაყიდვის ან ბანკის ბიზნეს ოპერაციებში გამოყენების გეგმა. ამდენად, მისი საბალანსო ღირებულების 100%-იანი გაუფასურების ხარჯი აღიარებულ იქნა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## 8. გასაყიდად არსებული ინვესტიციები

გასაყიდად არსებული ინვესტიციები მოიცავს:

| | წილის % | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|---|
| ღსს "გაერთიანებული კლირინგ ცენტრი" | 6,25% | 54 | 54 |
| **სულ გასაყიდად არსებული ინვესტიციები** | | 54 | 54 |

ხელმძღვანელობა სს "გაერთიანებული კლირინგ ცენტრის" აქციებში ბანკის მიერ ფლობილი წილის რეალურ ღირებულებას სარწმუნოდ ვერ ზომავს. ეს ინვესტიცია აღრიცხულია თვითღირებულებით. სააქციო საზოგადოებას ბოლო ფინანსური ინფორმაცია ოპერაციების შესახებ არ გამოუქვეყნებია, მისი აქციები ბაზარზე არ კოტირდება და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციების გაყიდვის ბოლო მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი არაა.

## 9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

| | მიწა | შენობები | საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობები | ავეჯი | სატრანსპორ-ტო საშუალებები | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | სხვა | დაუმთავრე-ბელი მშენებლობა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **თავდაპირველი/ გადაფასებული ღირებულებით** | | | | | | | | | |
| **1 იანვარი, 2014** | **1,082** | **534** | **820** | **89** | **564** | **58** | **157** | **5,169** | **8,473** |
| შესყიდვა | - | - | 59 | 10 | 17 | - | 4 | 53 | 143 |
| გადაფასება | - | 99 | - | - | - | - | - | - | 99 |
| გასაყიდად განკუთვნილად რეკლასიფიცირება | (1,082) | - | - | - | - | - | - | (5,222) | (6,304) |
| რეალიზაცია | - | - | - | (1) | - | - | (53) | - | (54) |
| **31 დეკემბერი, 2014** | **-** | **633** | **879** | **98** | **581** | **58** | **108** | **-** | 2,357 |
| შესყიდვა | - | 9,459 | 340 | 34 | 124 | - | 250 | - | 10,207 |
| რეალიზაცია | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| **31 დეკემბერი, 2015** | **-** | **10,092** | **1,219** | **132** | **705** | **58** | **358** | **-** | **12,564** |
| **დაგროვილი ცვეთა** | | | | | | | | | |
| **1 იანვარი, 2014** | **-** | **(54)** | **(583)** | **(76)** | **(372)** | **(49)** | **(68)** | **-** | **(1,202)** |
| დარიცხული ცვეთა | - | (26) | (113) | (10) | (72) | (3) | (15) | - | (239) |
| შემცირება გადაფასების შედეგად | - | 80 | - | - | - | - | - | - | 80 |
| შემცირება რეალიზაციის შედეგად | - | - | - | 1 | - | - | - | - | 1 |

სააქციო საზოგადოება
„აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი–საქართველო"

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები (გაგრძელება)
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | მიწა | შენობები | საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობები | ავეჯი | სატრანსპორ-ტო საშუალებები | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | სხვა | დაუმთავრე-ბელი მშენებლობა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი, 2014** | **-** | **-** | **(696)** | **(85)** | **(444)** | **(52)** | **(83)** | **-** | **(1,360)** |
| დარიცხული ცვეთა | - | (32) | (91) | (8) | (99) | (3) | (21) | - | (254) |
| შემცირება რეალიზაციის შედეგად | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| **31 დეკემბერი, 2015** | **-** | **(32)** | **(787)** | **(93)** | **(543)** | **(55)** | **(104)** | **-** | **(1,614)** |
| წმინდა საბალანსო ღირებულება | | | | | | | | | |
| **31 დეკემბერი, 2015** | **-** | **10,060** | **432** | **39** | **162** | **3** | **254** | **-** | **10,950** |
| **31 დეკემბერი, 2014** | **-** | **633** | **183** | **13** | **137** | **6** | **25** | **-** | **997** |

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითად საშუალებები მოიცავს სრულად გაცვეთილ აქტივებს, შესაბამისად, 635 და 422 ათასი ლარის ოდენობით.

ბანკის საკუთრებაში არსებული შენობები მოცემულია გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს გადაფასების დღეს არსებული რეალური ღირებულებისა და შემდგომში დაგროვილი ცვეთის და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების სხვაობას.

შენობების რეალური ღირებულება განისაზღვრა შედარებითი საბაზრო მიდგომით, რომელიც ეფუძნება მსგავს ქონებაზე ახლო წარსულში განხორციელებულ ტრანზაქციებში დაფიქსირებულ ფასებს. წლის განმავლობაში შეფასების ტექნიკა არ შეცვლილა.

ინფორმაცია ბანკის შენობებისა და რეალური ღირებულების იერარქიის შესახებ 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | დონე | რეალური ღირებულება 31 დეკემბერი, 2015 | რეალური ღირებულება 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|---|
| შენობები რეგიონის მიხედვით: | | | |
| - თბილისი | მე-3 დონე | 10,092 | 633 |
| **სულ** | | **10,092** | **633** |

ბანკის შენობა-ნაგებობები (გარდა გასაყიდად განკუთვნილი მიწისა და შენობა-ნაგებობებისა და სარეალიზაციო ჯგუფში მოცემულისა) ისტორიული ღირებულებით რომ გაზომილიყო, მათი საბალანსო ღირებულება, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 9,807 ათასი ლარი (2014 წლის 31 დეკემბერი: 385 ათასი ლარი).

## 10. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| **სხვა ფინანსური აქტივები:** | | |
| მოთხოვნები სხვა ტრანზაქციებიდან | 370 | 88 |
| დაგროვილი საკომისიოები | 100 | 157 |
| **სხვა არაფინანსური აქტივები:** | | |
| ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები | 1,411 | - |
| საგადასახადო მოთხოვნები, მოგების გადასახადის გარდა | 48 | 39 |
| საოპერაციო ხარჯებზე გადახდილი ავანსები | 33 | 171 |
| დასაკუთრებული აქტივები | - | 302 |
| **სულ სხვა აქტივები** | **1,962** | **757** |

## 11. გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| გასაყიდად განკუთვნილი მიწა | - | 1,082 |
| დაუმთავრებელი მშენებლობა | - | 5,222 |
| **სულ გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები** | **-** | **6,304** |

2015 წლის განმავლობაში ბანკმა 9,243 ათას ლარად გაყიდა მანამდე გასაყიდად ფლობილად კლასიფიცირებული ქონება. ტრანზაქციის შედეგად, ბანკმა მიიღო მოგება 2,939 ათასი ლარის ოდენობით.

## 12. ბანკების დეპოზიტები

ბანკების დეპოზიტები მოიცავს:

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| სხვა ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები | 43 | 32 |
| ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ვადიანი დეპოზიტები | 43,597 | 62,020 |
| **სულ ბანკების დეპოზიტები** | **43,640** | **62,052** |

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების დეპოზიტების ნაშთებში შედის დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, შესაბამისად, 1,200 და 2,379 ათასი ლარის ოდენობით.

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამფუძნებლის დეპოზიტი, შესაბამისად, 42,397 და 52,956 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს საგარანტიო თანხას კლიენტების კონკრეტული სესხების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ დეპოზიტს ერიცხება საპროცენტო განაკვეთი 7.25%-დან 10.00%-მდე და გადახდის მაქსიმალური ვადა წარმოადგენს 1 წელიწადს ანგარიშგების თარიღიდან (იხ. მე-7 შენიშვნა).

## 13. კლიენტების დეპოზიტები

ვალდებულებები კლიენტების მიმართ მოიცავს:

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| მოთხოვნამდე ანგარიშები | 39,529 | 14,766 |
| ვადიანი დეპოზიტები | 536 | 3,518 |
| **სულ ვალდებულებები** | **40,065** | **18,284** |

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტები, შესაბამისად, 31,025 და 13,474 ათასი ლარის ოდენობით (სულ კლიენტების დეპოზიტების, შესაბამისად, 79% და 75%), ეკუთვნოდა 3 კლიენტს, რაც მნიშვნელოვან კონცენტრაციას წარმოადგენს.

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტთა ანგარიშების ნაშთებში მოიცავს, შესაბამისად, 443 და 2,786 ათასი ლარის ოდენობის საგარანტიოდ უზრუნველყოფილი დეპოზიტები.

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| ანალიზი დარგების/კლიენტის ტიპების მიხედვით: | | |
| მშენებლობა | 29,675 | 12,468 |
| ენერგეტიკა | 5,868 | 132 |
| ფიზიკური პირები | 1,549 | 3,960 |
| ვაჭრობა | 1,188 | 346 |
| ტრანსპორტი და კომუნიკაცია | 654 | - |
| სამთამადნო და მინერალური გადამამუშავებელი მრეწველობა | 2 | - |
| სოფლის მეურნეობა | 1 | 2 |
| სხვა | 1,128 | 1,376 |
| **სულ კლიენტთა დეპოზიტები** | **40,065** | **18,284** |

## 14. რეზერვები

რეზერვების ცვლილება:

| | გარანტიები |
|---|---|
| **2014 წლის 1 იანვარი** | **1,538** |
| წლის განმავლობაში აღიარებული რეზერვების ცვლილება | 1,572 |
| **2014 წლის 31 დეკემბერი** | **3,110** |
| წლის განმავლობაში აღიარებული რეზერვების ცვლილება | (3,110) |
| **2015 წლის 31 დეკემბერი** | **-** |

ბანკი ერთსა და იმავე კლიენტზე გაცემულ გარანტიებსა და სესხებზე იყენებს ერთსა და იმავე სარეზერვო განაკვეთს. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ ჰქონდა გაცემული გარანტიები მსესხებლებზე რომელთა სესხებიც იყო გაუფასურებული.

## 15. ნასესხები სახსრები

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხები სახსრები მოიცავს:

| | ვალუტა | დაფარვის ვადა | ნომინალური საპროცენტო განაკვეთი % | 31 დეკემბერი, 2015 | ნომინალური საპროცენტო განაკვეთი % | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სესხები Isbank AG-დან | USD | მარ-16 | 4.54% | 2,427 | - | - |
| სესხები Commerzbank AG-დან | EUR | დეკ-15 | - | - | 3.75% | 4,521 |
| სესხები CityBank N.A-დან | USD | დეკ-15 | - | - | 4,35% | 18,380 |
| **სულ სხვა ნასესხები სახსრები** | | | | **2,427** | | **22,901** |

ეს ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით აისახება.

## 16. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| **სხვა ფინანსური ვალდებულებები:** | | |
| კრედიტორული დავალიანება | 100 | 237 |
| **სხვა არა-ფინანსური ვალდებულებები:** | | |
| საგადასახადო ვალდებულებები მოგების გადასახადის გარდა | - | 6 |
| სხვა | - | 3 |
| **სულ სხვა ვალდებულებები** | **100** | **246** |

## 17. სუბორდინირებული სესხი

2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული სესხი მოიცავს:

| | ვალუტა | დაფარვის ვადა | ნომინალური საპროცენტო განაკვეთი % | საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ღსს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი" | აშშ დოლარი | სექ-20 | 5.25% | 5.19% | 16,767 | - |
| ღსს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი" | აშშ დოლარი | სექ-19 | 5.25% | 5.06% | - | 13,047 |
| **სულ სუბორდინირებული სესხი** | | | | | **16,767** | **13,047** |

ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ ვალის გადახდა არის სუბორდინირებული ბანკის სხვა ყველა დანაჩენი კრედიტორის ვალდებულებების გადახდის მიმართ.

## 18. სააქციო კაპიტალი

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის დამტკიცებული, გამოშვებული და სრულად გადახდილი კაპიტალი, შესაბამისად, შეადგენს 22,688 ათას ლარს - 22,688 ჩვეულებრივ აქციას, ნომინალური ღირებულებით - 1,000 ლარი ერთ აქციაზე.

2014 წელს ბანკმა გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები 908 ათასი ლარის ოდენობით.

## 19. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

| | 2015 | 2014 |
|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი: | | |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე: | | |
| – გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე | 5,258 | 7,161 |
| – ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ გაუფასურებულა | 9,938 | 5,359 |
| **სულ საპროცენტო შემოსავალი** | **15,196** | **12,520** |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე: | | |
| კლიენტებზე გაცემულ სესხებზე | 12,374 | 11,729 |
| ბანკების მიმართ მოთხოვნის ნაშთებზე | 2,372 | 349 |
| სებ-ის მიმართ მოთხოვნის ნაშთებზე | 450 | 442 |
| **სულ საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე** | **15,196** | **12,520** |
| საპროცენტო ხარჯი: | | |
| ბანკების დეპოზიტებზე | (4,970) | (4,630) |
| კლიენტების დეპოზიტებზე | (1,361) | (207) |
| სუბორდინირებულ სესხებზე | (734) | (658) |
| ნასესხებ სახსრებზე | (96) | (398) |
| **სულ საპროცენტო ხარჯი** | **(7,161)** | **(5,893)** |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის აღდგენამდე/(ხარჯამდე )** | **8,035** | **6,627** |

## 20. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე

წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

| | 2015 | 2014 |
|---|---|---|
| სავაჭრო ოპერაციები, წმინდა | 2,296 | 1,184 |
| არარეალიზებული საკურსო სხვაობა, წმინდა | 185 | 103 |
| **სულ წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე** | **2,481** | **1,287** |

## 21. საკომისიო შემოსავლები

საკომისიო შემოსავლები მოიცავს:

| | 2015 | 2014 |
|---|---|---|
| საკომისიო შემოსავლები: | | |
| შემოსავლები სააგენტო მომსახურებიდან | 575 | 378 |
| საკომისიო ნაღდი ფულის ინკასირებიდან | 392 | 318 |
| არანტიები | 29 | 126 |
| ანგარიშსწორება | 156 | 119 |
| ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები | 99 | 63 |
| პლასტიკური ბარათის ოპერაციები | 117 | 44 |
| სხვა | 76 | 23 |
| **სულ საკომისიო შემოსავლები** | **1,444** | **1,071** |

## 22. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

| | 2015 | 2014 |
|---|---|---|
| თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი | 1,538 | 1,378 |
| იჯარის ხარჯი | 382 | 393 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 330 | 306 |
| კომუნიკაციის ხარჯები | 150 | 160 |
| პროფესიული მომსახურება | 136 | 218 |
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა | 98 | 65 |
| კომუნალური ხარჯები | 65 | 15 |
| სააბონენტო ხარჯები | 61 | 43 |
| საწვავის ხარჯები | 60 | 68 |
| დაცვის ხარჯები | 43 | 79 |
| ბეჭდვისა და საკანცელარიო ხარჯები | 24 | 8 |
| რემონტისა და მომსახურების ხარჯები | 18 | 26 |
| სამივლინებო ხარჯები | 15 | 23 |
| სადაზღვევო ხარჯები | 11 | 21 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 5 | 2 |
| სხვა | 170 | 180 |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **3,106** | **2,985** |

## 23. მოგების გადასახადი

ბანკი მიმდინარე მოგების გადასახადის, აქტივებისა და ვალდებულებების დათვლასა და აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან. საგადასახადო მიზნებისთვის არაგამოქვითვადი ხარჯებისა და გადასახადისგან განთავისუფლებული შემოსავლების არსებობის გამო, ბანკს წარმოექმნება მუდმივი საგადასახადო სხვაობები.

გადავადებული გადასახადი ასახავს საგადასახადო ეფექტს, რომელიც წარმოიქმნება ერთის მხრივ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებისა და, მეორეს მხრივ, საგადასახადო მიზნებისთვის წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებს შორის დროებითი სხვაობების არსებობის გამო. 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებსა და დროსთან, ასევე იმ დროებით სხვაობებთან, რომელიც წარმოიქმნება საგადასახადო მიზნებისათვის და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის წარმოდგენილი აქტივების ღირებულებებს შორის განსხვავების გამო. შედარებისათვის გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოგების გადასახადს 15%-ს. დასაბეგრი მოგება და მოგების გადასახადი განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო (ვალდებულებები)/აქტივები შეადგენს:

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| კლიენტებზე გაცემული სესხები | (2,452) | 903 |
| ლეზერვები | 29 | 256 |
| ძირითადი საშუალებები | (277) | 117 |
| არამატერიალური აქტივები | (47) | 23 |
| სხვა ვალდებულებები | - | 19 |
| სხვა აქტივები | 10 | 12 |
| ნასესხები სახსრები | - | (43) |
| სუბორდინირებული სესხი | - | (29) |
| **წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი კანონით განსაზღვრული განაკვეთით (15%)** | **(2,737)** | **1,258** |

2015 და 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის საგადასახადო ხარჯებსა და ფინანსურ მოგებებს შორის კავშირი შემდეგნაირად აიხსნება:

| | 2015 | 2014 |
|---|---|---|
| **მოგება მოგების გადასახადამდე** | **17,524** | **1,919** |
| გადასახადი კანონით განსაზღვრული გადასახადის განაკვეთით (15%) | 2,629 | 288 |
| მუდმივი სხვაობების საგადასახადო ეფექტი: | | |
| მუდმივი სხვაობები | 44 | 8 |
| წინა წლებში | 2,020 | - |
| **მოგების გადასახადის ხარჯი** | **4,693** | **296** |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი | 698 | 998 |
| გადასახადის გადავადებული ხარჯი | | |
| წინა წლებში | 2,020 | |
| გადავადებული ხარჯი/(სარგებელი) | 1,975 | (702) |
| **მოგების გადასახადის ხარჯი** | **4,693** | **296** |

| **გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი/(ვალდებულება)** | **2015** | **2014** |
|---|---|---|
| **1 იანვრის მდგომარეობით – გადავადებული გადასახადის აქტივი** | **1,258** | **583** |
| წინა წლებში | (2,020) | - |
| მოგება-ზარალში ასახული გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთების ცვლილება | - | (27) |
| სხვა სრულ შემოსავალში ასახული გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთების ცვლილება | (1,975) | 702 |
| **31 დეკემბრის მდგომარეობით – გადავადებული საგადასახადო აქტივი** | **-** | **1,258** |
| **31 დეკემბრის მდგომარეობით – გადავადებული საგადასახადო ვალდებულება** | **(2,737)** | **-** |

## 24. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი ჩვეული საქმიანობის პროცესში კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს გარე-საბალანსო რისკებით. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ბანკი არასაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც საბალანსო ოპერაციებში იყენებს.

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირობითი ვალდებულებების დაკანარგების რეზერვმა, შესაბამისად, შეადგინა ნული ლარი და 3,110 ათასი ლარი.

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირობითი ვალდებულებები შეადგენდა:

| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| **პირობითი ვალდებულებები და საკრედიტო ვალდებულებები** | | |
| გაცემული გარანტიები და სხვა ვალდებულებები | 10,155 | 19,308 |
| სასესხო და აუთვისებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები | 117 | 3,174 |
| **სულ პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები** | **10,272** | **22,482** |

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდა მტკიცდება ბანკის მიერ თითოეული შემთხვევის განხილვის საფუძველზე და დამოკიდებულია მსესხებელის ფინანსურ მდგომარეობაზე, სესხის მომსახურებასა და სხვა პირობებზე. 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი სახის გამოუყენებელმა საკრედიტო ხაზებმა შეადგინა 117 და 3,174 ათასი ლარი, შესაბამისად.

**ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე** – 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნდა არსებითი ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე.

***ვალდებულებები საოპერაციო იჯარაზე*** – 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა არსებითი საიჯარო ვალდებულებები.

***სასამართლო დავები*** – პერიოდულად და ბიზნესის ჩვეული მსვლელობისას ბანკი პრეტენზიებს იღებდა საკუთარი კლიენტებისა და კონტრაგენტებისაგან. ხელმძღვანელობის აზრით რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანარიშგებაში არ გათვალისწინებულა არანაირი რეზერვის ხარჯი.

***გადასახადები*** – საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბანკის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ბანკს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ასეთი უზუსტობა შეიძლება უკავშირდებოდეს კლიენტებზე გაცემული სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების დანაკარგების რეზერვისა და რეზერვის აღდგენაში დროებითი სხვაობების შეფასებას და დასაბეგრი მოგების შემცირებას. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ამგვარი უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს ფინანსური ინსტრუმენტების / წარმოებულების საგადასახადო დამუშავებითა და საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების მიზნებისათვის ტრანზაქციების საბაზრო ფასის დადგენით. მან შეიძლება ასევე თავი იჩინოს დროებით საგადასახადო სხვაობებში, რომლებიც სესხის გაუფასურების რეზერვის გამო წარმოიქმნა, ხოლო მოგების გადასახადის ვალდებულება საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება საგადასახადო ბაზისის არასაკმარის დეკლარირებად ჩათვალონ. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ დაარიცხეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი ყველა გადასახადი და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა 2014 წლის 1 იანვარს შეიცვალა. მასში გაჩნდა ანგარიშგებისა და დოკუმენტაციის წარდგენის ახალი მოთხოვნები. ახალი ნორმატივებით საგადასახადო ორგანოს უფლება ეძლევა, გარკვეულ ტრანზაქციებს დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. ასეთი ტრანზაქციები, სხვათა რიგში, მოიცავს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან, თუ ორგანომ ჩათვალა, რომ ტრანზაქციის ფასი საბაზრო გარიგებით არ დადგენილა. შეუძლებელია იმ ზეგავლენის ზუსტად დადგენა, რასაც საგადასახადო ორგანოების მხრიდან ბანკის საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების პოზიციების ეჭვქვეშ დაყენება გამოიწვევს.

**საოპერაციო გარემო** – ბანკის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. ქვეყნის საქმიან გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა და მარეგულირებელი წესები ხშირად იცვლება, რამაც შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს ბანკის აქტივები პოლიტიკური და ბიზნეს გარემოს შესაძლო უარყოფითი ცვლილების გამო.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც ნაკლებად არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პილიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით.

საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი, და სხვა კანონიერი და ფისკალური დაბრკოლებები სირთულეებს უქმნის საქართველოში ამჟამად მომუშავე საწარმოებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულება დიდწილად განაპირობებს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობა, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემოს პარალელურად.

2014 და 2015 წელს დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკა მშფოთვარე პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების არეალში აღმოჩნდა. ამან საქართველოს ეკონომიკაზეც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია. სავალუტო ბაზარი არასტაბილური იყო და ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 28%-ით გაუფასურდა.

საქართველოში ეკონომიკური ვითარების სტაბილიზება დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებული აღმოჩნდება საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა, საქართველოს ეკონომიკის სამომავლო მდგომარეობასა და დსთ-ის სივრცეში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. ამ ძალისხმევისა და მოვლენების შედეგის პროგნოზირება ამჟამად რთულია.

## 25. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომელზეც ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მოსურნე გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის კომერციული ოპერაციის შედეგად, გარდა სალიკვიდაციო და იძულებითი გარიგებებისა.

**აქტივები, რომელთა რეალური ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან**

მოკლევადიანი (3 თვეზე ნაკლები) ფინანსური აქტივები და ვალდებულებების შემთხვევაში იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია რეალურ ღირებულებასთან. ეს დაშვება აგრეთვე ვრცელდება მოთხოვნამდე ანაბრებზე და მიმდინარე ანგარიშებზე, რომელთა დაფარვის ვადა განსაზღვრული არ არის.

**ფული და ფულის ექვივალენტები, სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში, მოთხოვნები ბანკების მიმართ, ბანკების დეპოზიტები და კლიენტების დეპოზიტები**

ფულისა და ფულის ექვივალენტების, სებ-ში მინიმალური სავალდებულო რეზერვების, ბანკების მიმართ მოთხოვნების, ბანკების დეპოზიტებისა და კლიენტების დეპოზიტების რეალური ღირებულება შეფასებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე სესხების საბაზრო განაკვეთების საფუძველზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ანგარიშგების დღეს.

**კლიენტებზე გაცემული სესხები**

სესხების გაცემა ხდება ფიქსირებული განაკვეთების საფუძველზე. იმის გამო, რომ საქართველოში ასეთი სესხებისა და ავანსების აქტიური მეორადი ბაზარი არ არის, ამ პორტფელის სანდო საბაზრო ღირებულების დადგენა შეუძლებელია. რეალური ღირებულება ფასდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე სესხების საბაზრო განაკვეთების საფუძველზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ანგარიშგების დღეს.

**სუბორდინირებული სესხი და ნასესხები სახსრები**

სუბორდინირებული სესხისა და ნასესხები სახსრების რეალური ღირებულების შეფასება ხდება დისკონტირებული ფულადი სახსრების ანალიზზე დაყრდნობით მიღებული საფასო მოდელების შესაბამისად, რომლებიც დაფუძნებულია ანალოგიურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში არსებულ საბაზრო გარიგებებზე.

**სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები**

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ძირითადად წარმოდგენილია მოკლევადიანი დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებების სახით, ამდენად საბალანსო ღირებულება ითვლება მათი რეალური ღირებულების სათანადო საზომად.

**იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც რეგულარულად არ აღირიცხება რეალური ღირებულებით (მაგრამ რომლებთან დაკავშირებითაც საჭიროა რეალური ღირებულების განმარტება).**

გარდა ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახული ინფორმაციისა, ხელმძღვანელობის აზრით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მათ რეალურ ღირებულებასთანაა მიახლოებული.

| | რეალური ღირებულება იერარქია | 31 დეკემბერი, 2015 საბალანსო ღირებულება | 31 დეკემბერი, 2015 რეალური ღირებულება | 31 დეკემბერი, 2014 საბალანსო ღირებულება | 31 დეკემბერი, 2014 რეალური ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| კლიენტებზე გაცემული სესხები | მე-3 დონე | 80,720 | 90,183 | 82,850 | 81,981 |
| კლიენტების დეპოზიტები | მე-3 დონე | 40,065 | 41,234 | 18,284 | 17,881 |
| სუბორდინირებული სესხი | მე-3 დონე | 16,767 | 16,812 | 13,047 | 12,973 |

## 26. კაპიტალის რისკის მართვა

ბანკი საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ კომპანია ფუნქციონირების გაგრძელება შეძლოს და აქციონერების მიერ მიღებული უკუგება მაქსიმალური გახადოს სესხისა და კაპიტალის ნაშთის ოპტიმიზაციის საშუალებით.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა სხვა ღონისძიებებთან ერთად მონიტორინგს ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკის მეთვალყურეობისას დადგენილ კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კოეფიციენტების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიური ანგარიშის სახით, რომელიც გენერალური დირექტორისა და ფინანსური მენეჯერის შემოწმების შემდეგ ხელმოწერილი წარედგინება სებ-ს. კაპიტალის მენეჯმენტის სხვა მიზნები მუდმივად განიხილება.

სებ-ის მიერ დადგენილი მიმდინარე კაპიტალით ბანკები ვალდებულნი არიან : ა) ფლობდნენ სააქციო კაპიტალის მინიმალურ დონეს - 12,000,000 ლარი; ბ) შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის რისკების მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი („საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი“) დადგენილი 12 % ან მეტი და გ) შეინარჩუნონ პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებთან (პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი) დადგენილი 8 % ან მეტი.

2014 წლის ივნისიდან მოყოლებული, ზემოთ ნახსენები კოეფიციენტების გარდა, ბანკები ვალდებულები არიან, გამოითვალონ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 2014 წლის 28 ოქტომბრის კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომელიც ითხოვს, რომ ბანკმა შეინარჩუნოს (ა) ძირითადი პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი სულ მცირე 7%-ზე, (ბ) პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი სულ მცირე 8.5%-ზე და, (გ) საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი სულ მცირე 10.5%-ზე.

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა კაპიტალისათვის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ბანკის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს კაპიტალს, გამოშვებულ კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას, როგორც წარმოდგენილია კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობა სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად:

| | 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის | 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| სააქციო კაპიტალი | 22,688 | 22,688 |
| გაუნაწილებელი მოგება | 4,638 | 2,526 |
| გამოკლებული: არამატერიალური აქტივები | (307) | (332) |
| პირველადი კაპიტალი | 27,019 | 24,882 |
| ერიოდის წმინდა მოგება | 1,274 | 2,084 |
| ზოგადი რეზერვები (არა უმეტეს საკრედიტო და საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ისა) | 1,126 | 1,309 |
| სუბორდინირებული სესხები (არა უმეტეს პირველადი კაპიტალის 50%-ისა) | 13,411 | 12,442 |
| მეორადი კაპიტალი | 15,811 | 15,835 |
| **სულ საზედამხედველო კაპიტალი** | **42,830** | **40,717** |
| **რისკზე შეწონილი აქტივები** | **71,360** | **93,859** |
| პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 37.86% | 26.51% |
| საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 60.02% | 43.38% |

მარეგულირებლის მიერ დადგენილი რაოდენობრივი საზომები, რომელთა მიზანი კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფაა, ბანკს ავალდებულებს, შეინარჩუნოს საზედამხედველო და პირველადი კაპიტალის მოცულობის ფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან (12% და 8%, შესაბამისად).

| **კაპიტალის კოეფიციენტები სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, კაპიტალის ადეკვატურობის ახალი მარეგულირებელი წესის თანახმად:** | **31 დეკემბერი, 2015** |
|---|---|
| ძირითადი პირველადი კაპიტალი | 18.7% |
| პირველადი კაპიტალი | 18.7% |
| საზედამხედველო კაპიტალი | 28.8% |

## 27. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ბანკის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს;
- ლიკვიდობის რისკს;
- საბაზრო რისკს.

ბანკი აღიარებს, რომ რისკის ეფექტიანი და ქმედითი მართვის პროცესების არსებობა მნიშვნელოვანია. ამისათვის ბანკმა დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია ბანკი დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს რისკის მართვის გარემოს საშუალებით.

**საკრედიტო რისკი.** ბანკს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულმა რომელიმე მხარემ, შეიძლება, ვერ შეძლოს დაკისრებული ვალდებულების შესრულება, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

მეტწილად საკრედიტო რისკი წარმოიშობა გაცემული სესხებისა და გარესაბალანსო საკრედიტო ვალდებულებებისაგან. რისკის ანგარიშგების მიზნებისათვის ბანკი განიხილავს ყველა ელემენტს საკრედიტო რისკის გამოვლინებებისას, როგორიცაა ინდივიდუალური კონტრაგენტის სპეციფიკური რისკი, საკრედიტო გარემოს დეფოლტის რისკი და ინდუსტრიული რისკი. ბანკი ადგენს საკრედიტო რისკის დონეს შეზღუდვების შემოღებით მიღებული რისკის მოცულობაზე ერთ მსესხებელზე ან მსესხებელის ჯგუფებზე და ინდუსტრიის სეგმენტებზე.

საკრედიტო რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება ბანკის ხელმძღვანელთა საბჭოს მიერ დაწესებულ ლიმიტებში. ბანკში დაარსებულია საკრედიტო კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალური მსესხებლების საკრედიტო ლიმიტების დამტკიცებაზე:

- დამფუძნებელი ბანკის საკრედიტო კომიტეტი ვალდებულია განიხილოს და დაამტკიცოს ყველა სესხი 1,000 ათასი აშშ დოლარის ლარში ექვივალენტის ზემოთ. ის ასევე პასუხისმგებელია მისცეს მითითებები ბანკის საკრედიტო კომიტეტს ყველა სხვა გაცემულ სესხებთან დაკავშირებით;
- ბანკის საკრედიტო კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ყველა თანხას 1,000 ათასი აშშ დოლარის ლარში ექვივალენტის ქვემოთ. საკრედიტო კომიტეტი იკრიბება ყოველკვირეულად.

საკრედიტო რისკი ფასდება და იმართება ნაწილობრივ უზრუნველყოფის, ქონებაზე იპოთეკური ინტერესების, აქტივებისა და ფასიანი ქაღალდების გირავნობის სახით და სხვა უზრუნველყოფის, პერსონალური და კორპორატიული გარანტიების ჩათვლით, კონტროლით და მონიტორინგით. მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი შემამსუბუქებელი ფაქტორია საკრედიტო რისკის შეფასებისას, ეს არის ბანკის პოლიტიკა, რომ დარწმუნდეს კლიენტების მიერ სესხების დაფარვის შესაძლებლობაში, ვიდრე დაეყრდნოს მხოლოდ თავდებობას. გირაო ითვლება დაფარვის მეორად წყაროდ. ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში, რაც დამოკიდებულია კლიენტის სტაბილურობაზე ან პროდუქტის ტიპზე და მოცულობაზე, სესხები შეიძლება იყოს არაუზრუნველყოფილი.

კრედიტის გახანგრძლივების ვალდებულება წარმოადგენს სესხების, გარანტიების ან აკრედიტივების სახით გასაცემი დამატებითი კრედიტის გამოუყენებელ ნაწილს. რაც შეეხება კრედიტის გახანგრძლივების ვალდებულებაზე მოქმედ საკრედიტო რისკს, ამ თვალსაზრისით, ბანკმა შესაძლოა განიცადოს გამოუყენებელი ვალდებულების შესაბამისი თანხის ტოლი ზარალი. მიუხედავად ამისა, ზარალის სავარაუდო თანხა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებაზე, ვინაიდან კრედიტის გახანგრძლივების ვალდებულება პირობითია და დამოკიდებულია კლიენტის მიერ სპეციფიურ საკრედიტო სტანდარტების დაკმაყოფილებაზე. ბანკი აკონტროლებს საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობას, ვინაიდან გრძელვადიან ვალდებულებებზე, როგორც წესი, უფრო დიდი საკრედიტო რისკი მოქმედებს, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებზე.

**საკრედიტო რისკის შეფასება.** მსესხებლების მიმართ საკრედიტო რისკის პოზიციის შესაფასებლად ბანკმა შეიმუშავა ფასს-ს შესაბამისი მეთოდოლოგია.

ბანკი სესხების მთლიან პორტფელს ჰყოფს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან და უმნიშვნელო მსესხებლებად. ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება მსესხებლები, რომელთა რისკის პოზიციები მთლიანი სააქციო კაპიტალის 1%-ს აჭარბებს. ასეთი მსესხებლების დეფოლტის ალბათობა ფასდება ბანკის ინდივიდუალური მეთოდოლოგიის მიხედვით. გაუფასურების ნიშნების არარსებობისას ინდივიდუალურად შეფასებული სესხი

ფასდება იმ განაკვეთით, რომელიც ეფუძნება მსესხებელთა იმავე კატეგორიის კოლექტიურ შეფასებას.

**ინდივიდუალური შეფასება.** იმის ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, გასწია თუ არა ბანკმა გაუფასურების დანაკარგები, გამოიყენება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ინფორმაცია მსესხებლის ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობისა და ბიზნესისა და ფინანსური რისკდამოკიდებულებების, ასევე მსგავსი ფინანსური აქტივების გადახდისუუნარობის დონეებისა და ტენდენციების, უზრუნველყოფის (უძრავი ქონებისა და დეპოზიტების) რეალური ღირებულების შესახებ. ეს და სხვა ფაქტორები, როგორც ინდივიდუალურად, აგრეთვე ერთად აღებული, წარმოადგენს იმის მნიშვნელოვან ობიექტურ მტკიცებულებას, რომ ფინანსურ აქტივს ან ფინანსური აქტივების ჯგუფს გაუფასურების დანაკარგი დაერიცხა.

სესხის მიმდინარე ღირებულების დასადგენად, ბანკი აფასებს მსესხებლის მოსალოდნელ ფინანსურ მდგომარეობას სესხის დაფარვის ვადის ბოლო დღისათვის. ხელმძღვანელობა უშვებს, რომ ანგარიშგების თარიღიდან ვადის დაფარვის თარიღამდე უკუგება მთლიან აქტივებზე იმავე დონეზე იქნება, რაც ბოლო საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა. ამდენად, ხელმძღვანელობას შეუძლია კაპიტალი, მთლიანი აქტივები და მთლიანი ვალდებულებები დაფარვის ვადის ბოლოს მდგომარეობით შეაფასოს. ხელმძღვანელობა აგრეთვე უშვებს, რომ ბალანსის უწყისის სტრუქტურა ამავე პერიოდში არ შეიცვლება (ანუ მიმდინარე აქტივები, როგორც მთლიანი აქტივების პროცენტული წილი და მიმდინარე ვალდებულებები, როგორც მთლიანი ვალდებულებების პროცენტული წილი). დაფარვის ვადის ბოლო დღის ფინანსური კოეფიციენტების მიხედვით, ხელმძღვანელობა ადგენს, თუ ძირითადი თანხის რა ნაწილის ამოღება მოხდება. შემდეგ ხდება ამ თანხისა და საპროცენტო გადახდების დისკონტირება საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ბანკი აფასებს უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებას და ფულადი სახსრების მოძრაობის გათვლის მიზნით, ადგენს სარეალიზაციო ღირებულებას უზრუნველყოფის სხვადასხვა ტიპზე მორგებული რამდენიმე მოდელით. სარეალიზაციო ღირებულება შემდეგ დისკონტირდება გაყიდვის პერიოდის განმავლობაში საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

სესხის დანაკარგი გამოითვლება, როგორც სესხის საბალანსო ღირებულებისა და მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულების სხვაობა.

**ჯგუფური შეფასება**

არაინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები ფასდება პორტფელის დონეზე – დეფოლტის ალბათობისა და სესხის ამოღების კოეფიციენტების გამოყენებით. სესხის ამოღებადობა დგინდება უზრუნველყოფად გამოყენებული ქონების დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე.

დეფოლტის ალბათობის დასადგენად, ბანკი იყენებს გაუარესების კოეფიციენტებს გადახდისუუნარო პერიოდში. თითოეულ ამ პერიოდს თავისი მოსალოდნელი გაუარესების კოეფიციენტი გააჩნია, რომელიც განისაზღვრება ისტორიული 12-თვიანი პერიოდის საფუძველზე.

საკრედიტო დაწესებულებებთან არსებული ნაშთების საკრედიტო რისკი ფასდება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ შემუშავებული რეიტინგების საფუძველზე.

**საკრედიტო რისკდამოკიდებულების მაქსიმალური ოდენობა.** ბანკის მაქსიმალური საკრედიტო რისკი ცვალებადია და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ რისკებზე, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზოგად რისკებზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საბალანსო და გარე-საბალანსო აქტივების მაქსიმალური საკრედიტო რისკი. ბალანსში ფინანსურ აქტივებზე მაქსიმალური

დაქვემდებარება უტოლდება აქტივების საბალანსო ღირებულებას გაქვითვამდე და უზრუნველყოფამდე. იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფა და ფასიანი ქაღალდები გაუფასურებულია და პირობითი ვალდებულებები, ან კრედიტის გაცემის ვალდებულება არ სრულდება, ბანკის წინაშე არსებული მაქსიმალური საკრედიტო რისკი წარმოდგენილია ამ ინსტრუმენტების კონტრაქტით გათვალისწინებული ღირებულებით.

| | მაქსიმალური რისკდამოკიდებულება | |
|---|---|---|
| | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 39,424 | 15,634 |
| მინიმალური სავალდებულო ნაშთები სებ-ში | 12,353 | 11,201 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | - | 27,733 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 80,720 | 82,850 |
| გასაყიდად განკუთვნილი ინვესტიციები | 54 | 54 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 470 | 245 |
| | | |
| გაცემული გარანტიები და მსგავსი ვალდებულებები | 10,155 | 19,308 |
| სასესხო გარანტიები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზები | 117 | 3,174 |

**არასაბალანსო რისკი.** არასაბალანსო რისკების სამართავად ბანკი ძირითადად იყენებს რისკის მართვის იმავე პოლიტიკას რითაც სარგებლობს საბალანსო რისკების მართვისას. რაც შეეხება სესხის გაცემისა და კლიენტებისა და კონტრაგენტების ვალდებულებებს, ბანკი იყენებს იმავე საკრედიტო მართვის პოლიტიკას რითაც სარგებლობს სესხებისა და ავანსების შემთხვევაში. მოთხოვნილი უზრუნველყოფა დამოკიდებული იქნება კონტრაგენტის სიძლიერესა და გარიგების სპეციფიკაზე.

***გეოგრაფიული კონცენტრაცია.*** აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს ბანკის საქმიანობის შესაბამისობას კანონმდებლობის და რეგულირების მოთხოვნების მიმართ და მათ გავლენას ბანკის საქმიანობაზე. ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით, კონცენტრირებული იყო საქართველოში.

აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

| | საქართველო | სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები | ეთგო-ს ქვეყნები | 31 დეკემბერი, 2015 სულ |
|---|---|---|---|---|
| **არაწარმოებული ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 17,684 | 22,669 | 1 | 40,354 |
| მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში | 12,353 | - | - | 12,353 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 80,705 | 15 | - | 80,720 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 54 | - | - | 54 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 470 | - | - | 470 |
| **სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები** | **111,266** | **22,684** | **1** | **133,951** |
| **არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| ბანკების დეპოზიტები | 43 | 43,597 | - | 43,640 |
| კლიენტების დეპოზიტები | 39,200 | 864 | 1 | 40,065 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 95 | - | - | 95 |
| ნასესხები სახსრები | - | - | 2,427 | 2,427 |
| სუბორდინირებული სესხები | - | 16,767 | - | 16,767 |
| **სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები** | **39,338** | **61,228** | **2,428** | **102,994** |
| **ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა პოზიცია** | **71,928** | **(38,544)** | **(2,427)** | **30,957** |

| | საქართველო | სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები | ეთგო-ს ქვეყნები | 31 დეკემბერი, 2014 სულ |
|---|---|---|---|---|
| **არაწარმოებული ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 7,545 | 9,355 | 137 | 17,037 |
| მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში | 11,201 | - | - | 11,201 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | - | 27,733 | - | 27,733 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 82,648 | 202 | - | 82,850 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 54 | - | - | 54 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 245 | - | - | 245 |
| **სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები** | **101,693** | **37,290** | **137** | **139,120** |
| **არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| ბანკების დეპოზიტები | 9,096 | 52,956 | - | 62,052 |
| კლიენტების დეპოზიტები | 14,829 | 3,454 | 1 | 18,284 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 237 | - | - | 237 |
| ნასესხები სახსრები | - | 18,380 | 4,521 | 22,901 |
| სუბორდინირებული სესხები | - | 13,047 | - | 13,047 |
| **სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები** | **24,162** | **87,837** | **4,522** | **116,521** |
| **ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა პოზიცია** | **77,531** | **(50,547)** | **(4,385)** | **22,599** |

## უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის მოთხოვნის რაოდენობა და სახეობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე, უზრუნველყოფის სახეობებისა და შეფასების პარამეტრების განსაზღვრა ხდება დანერგილი ინსტრუქციების საფუძველზე. უზრუნველყოფის ძირითადი სახეობებია:

- კომერციული დაკრედიტების შემთხვევაში უძრავი ქონება, მარაგები, გარანტიები, ტრანსპორტი და მოწყობილობა.
- საცალო დაკრედიტების შემთხვევაში საცხოვრებელი ქონება, გარანტიები, ტრანსპორტი და მოწყობილობა.

2012 წლის განმავლობაში ბანკმა დაისაკუთრა მიწა და შენობები რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 302 ათას ლარს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის და რომელიც უნდა გაყიდულიყო. ამჟამად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი არ არის დაკავებული მათი გაყიდვით. ამდენად, მოგება-ზარალის ანგარიშში ამ აქტივებზე აღიარებულია საბალანსო ღირებულების 100%-იანი ცვეთა.

## საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების ტიპის მიხედვით

ცხრილში მოცემულია ინდივიდუალურად გაუფასურებული აქტივების დეტალური ანალიზი:

| კლიენტებზე გაცემული სესხები | არც ვადაგადაცილებული და არც ინდივიდუალურად გაუფასურებული | ვადაგადაცილებული, მაგრამ ინდივიდუალურად არგაუფასურებული | ინდივიდუალურად გაუფასურებული | (გაუფასურების რეზერვი) | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 31 დეკემბერი, 2015 | 74,642 | - | 19,420 | (14,281) | 79,781 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 31 დეკემბერი, 2014 | 49,572 | - | 49,031 | (16,495) | 82,108 |

ცხრილში მოცემულია ჯგუფურად გაუფასურებული აქტივების დეტალური ანალიზი:

| კლიენტებზე გაცემული სესხები | არც ვადაგადაცილებული და არც ჯგუფურად გაუფასურებული | ვადაგადაცილებული, მაგრამ ჯგუფურად არგაუფასურებული | ჯგუფურად გაუფასურებული | (გაუფასურების რეზერვი) | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 31 დეკემბერი, 2015 | - | - | 1,564 | (625) | 939 |
| 31 დეკემბერი, 2014 | 191 | - | 2,317 | (1,766) | 742 |

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რომელიც გამოსცეს საერთაშორისო სააგენტოებმა "Fitch", "Standard & Poor's" და "Moody's"-მა. უმაღლესი შეფასება არის AAA. საინვესტიციო ფინანსურ აქტივებს გააჩნიათ შეფასება AAA-დან BBB-მდე. ფინანსური აქტივები, რომელთა შეფასება BBB-ზე ნაკლებია კლასიფიცირდება, როგორც სპეკულატიური რეიტინგის მქონე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ბანკის მიერ ფლობილი ისეთი ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგები, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული:

| 31 დეკემბერი, 2015 | AAA | AA | A | BBB | <BBB | შეუფა-სებელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები | - | - | - | 18,445 | 20,976 | 2 | 39,423 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | - | - | - | - | - | 74,642 | 74,642 |
| ასაყიდად არსებული ინვესტიციები | - | - | - | - | - | 54 | 54 |
| სხვა ფინანსური აქტივები | - | - | - | - | - | 470 | 470 |
| **31 დეკემბერი, 2014** | | | | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | - | - | 137 | - | 15,497 | - | 15,634 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | - | - | - | - | 27,733 | - | 27,733 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | - | - | - | - | - | 49,763 | 49,763 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | - | - | - | - | - | 54 | 54 |
| სხვა ფინანსური აქტივები | - | - | - | - | - | 245 | 245 |

2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთებმა საქართველოს ეროვნულ ბანკში შესაბამისად შეადგინა 12,353 და 11,201 ათასი ლარი. საქართველოს საკრედიტო რეიტინგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიხედვით შეესაბამებოდა საინვესტიციო დონეს < BBB.

საბანკო ინდუსტრიაზე ზოგადად მოქმედებს საკრედიტო რისკი, რომელიც კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ბანკთაშორისი დეპოზიტებიდან წარმოიშობა. პირველ კატეგორიასთან დაკავშირებული რისკდამოკიდებულება საქართველოშია კონცენტრირებული და მას რეგულარული მონიტორინგ უტარდება, რათა დაცული იქნას ბანკის რისკის მართვის პოლიტიკით დადგენილი საკრედიტო ლიმიტები და კრედიტუნარიანობის პრინციპები.

ბანკი მრავალ ტრანზაქციას ახორციელებს ისეთ კონტრაგენტებთან, რომლებსაც საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები არ აფასებენ. ბანკს შიდა მოდელები აქვს შემუშავებული, რომლითაც ის ასეთი კონტრაგენტების რეიტინგის განსაზღვრავს.

საქართველოს საკრედიტო რეიტინგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიხედვით შეესაბამებოდა საინვესტიციო დონეს < BBB.

**სესხები შეცვლილი პირობებით და ავანსები.** სესხებისა და ავანსების პირობებზე ხელახალი მოლაპარაკება ხდება ან კლიენტთან მიმდინარე ურთიერთობის ფარგლებში ან მსესხებლის გადახდისუნარიანობის უარყოფით ცვლილებაზე საპასუხოდ. მეორე შემთხვევაში, პირობების შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს გადახდის ვადის ცვლილება ან დაფარვის ახალი გრაფიკი, რომელშიც ბანკი მართლაც დაზარალებულ მსესხებლებს შეღავათიან საპროცენტო განაკვეთს შესთავაზებს. შედეგად, აქტივი კვლავაც ვადაგადაცილებული და ინდივიდუალურად გაუფასურებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ შეცვლილი საპროცენტო და ძირითადი თანხის გადახდებით აქტივის თავდაპირველი საბალანსო ღირებულების ამოღება ვერ ხერხდება. სხვა შემთხვევაში, პირობების შეცვლა ახალი შეთანხმების აუცილებლობას გამოიწვევს, რაც შემდგომში ახალ სესხად განიხილება.

ცხრილში ნაჩვენებია ხელახალი მოლაპარაკების საგნად ქცეული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება კლასების მიხედვით:

| ფინანსური აქტივის კლასი | 31 დეკემბერი, 2015 | 31 დეკემბერი, 2014 |
|---|---|---|
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 41,137 | 30,558 |
| გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგის რეზერვი | (2,087) | (6,059) |

**ლიკვიდობის რისკი**

***ლიკვიდობის რისკის მართვა.*** ლიკვიდობის რისკი ეხება დეპოზიტების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას.

ლიკვიდობის რისკის შეფასების მიზნით, ბანკი რისკის ყოველდღიურ, ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებს იყენებს. ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი, სავალდებულო ლიკვიდობის მოთხოვნები და ღია სავალუტო პოზიციის ანგარიშები ყოველდღიურად მზადდება.

ყოველთვიური ლიკვიდობის შიდა ანგარიშები კლიენტების დეპოზიტებს მოიცავს. ანგარიშგებაში მიმოიხილება დეპოზიტები პროდუქტის ტიპის, ფიზიკური/იურიდიული პირის, რეზიდენტი/არარეზიდენტი სახეობის, ვალუტის, დაფარვის ვადის სტრუქტურის მიხედვით. ასევე მოწმდება 40 უმსხვილესი დეპოზიტარი.

ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, ბანკი ასევე მიმართავს კვარტალურ სტრეს-ტესტებს. ტესტის მოდელი ითვლის დეპოზიტების გადინების ეფექტს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ვალუტაში და უცხოურ ვალუტაზე გაცვლილი ადგილობრივი ვალუტის მოცულობას.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს ზემოთ აღნიშნულ რისკებს ვადიანობის ანალიზის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ბანკის სტრატეგიას შემდგომი ფინანსური პერიოდისათვის. მიმდინარე ლიკვიდობის კონტროლი ხორციელდება სახაზინო დეპარტამენტის მიერ, რომლის ფუნქციაც არის ფულად ბაზრებზე გარიგებების დადება, მიმდინარე ლიკვიდობის შენარჩუნება და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია.

ლიკვიდობის რისკის სამართავად, ბანკი ახორციელებს კლიენტების და ბანკის ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დირექტორთა საბჭო აწესებს ლიმიტებს ხელმისაწვდომი სახსრების მინიმალურ პროპორციაზე გასანაღდებელი დეპოზიტების უზრუნველსაყოფად და ბანკთაშორისი და სხვა სასესხო წყაროს მინიმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს განაღდება მოთხოვნის მოულოდნელი წარმოქმნისას.

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზი:

(ა) ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსური ვალდებულებების (ძირისა და პროცენტის თანხების) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის ადრეული თარიღით, როდესაც ბანკი ვალდებული იქნება დაფაროს ვალდებულება; და (ბ) ფინანსური აქტივების დაფარვის პირობა, რომელიც იანგარიშება ფინანსურ აქტივებზე (პროცენტის ჩათვლით) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის და რომელიც მიღებული იქნება აქტივებზე დაფარვის საკონტრაქტო პირობაზე დაყრდნობით, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ბანკი ვარაუდობს, რომ ფულადი სახსრების შემოდინება სხვა დროსაა მოსალოდნელი.

## სააქციო საზოგადოება
## „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი–საქართველო”

### ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები (გაგრძელება)
### 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | განუსაზღვრელი ვადით | 31 დეკემბერი, 2015 სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები:** | | | | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 19,014 | - | - | - | - | - | 19,014 |
| მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში | 12,353 | - | - | - | - | - | 12,353 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | - | - | - | - | - | - | - |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 18,633 | 24,084 | 28,792 | 8,602 | 609 | - | 80,720 |
| სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები | 50,000 | 24,084 | 28,792 | 8,602 | 609 | - | 112,087 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 21,340 | - | - | - | - | - | 21,340 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | - | - | - | - | - | 54 | 54 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 470 | - | - | - | - | - | 470 |
| სულ საპროცენტო შემოსავლის არმქონე ფინანსური აქტივები | 21,810 | - | - | - | - | 54 | 21,864 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **71,810** | **24,084** | **28,792** | **8,602** | **609** | **54** | **133,951** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | | |
| ბანკების დეპოზიტები | - | 2,888 | 5,763 | 34,946 | - | - | 43,597 |
| კლიენტების დეპოზიტები | 2 | 38 | 354 | 142 | - | - | 536 |
| ნასესხები სახსრები | - | - | 2,427 | - | - | - | 2,427 |
| სუბორდინირებული სესხები | - | - | - | 16,767 | - | - | 16,767 |
| სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები | 2 | 2,926 | 8,544 | 51,855 | - | - | 63,327 |
| ბანკების დეპოზიტები | 43 | - | - | - | - | - | 43 |
| კლიენტების დეპოზიტები | 39,529 | - | - | - | - | - | 39,529 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 100 | - | - | - | - | - | 100 |
| სულ საპროცენტო შემოსავლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები | 39,672 | - | - | - | - | - | 39,672 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **39,674** | **2,926** | **8,544** | **51,855** | **-** | **-** | **102,999** |
| საპროცენტო შემოსავლის მგრძნობიარობა | 49,998 | 21,158 | 20,248 | (43,253) | 609 | - | |
| **საპროცენტო შემოსავლის ჯამური მგრძნობიარობა** | **49,998** | **71,156** | **91,404** | **48,151** | **48,760** | **48,760** | |
| ლიკვიდობის პოზიცია | 32,136 | 21,158 | 20,248 | (43,253) | 609 | 54 | |
| **ლიკვიდობის ჯამური პოზიცია** | **32,136** | **53,294** | **73,542** | **30,289** | **30,898** | **30,952** | |

## ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები (გაგრძელება)
## 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
*(ათასობით ლარში)*

| | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | განუსაზღვრელი ვადით | 31 დეკემბერი, 2014 სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები:** | | | | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 14,298 | - | - | - | - | - | 14,298 |
| მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში | 11,201 | - | - | - | - | - | 11,201 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | - | - | 27,733 | - | - | - | 27,733 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 8,640 | 6,589 | 52,867 | 14,754 | - | - | 82,850 |
| სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები | 34,139 | 6,589 | 80,600 | 14,754 | - | - | 136,082 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 2,739 | - | - | - | - | - | 2,739 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | - | - | - | - | | 54 | 54 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 245 | - | - | - | - | - | 245 |
| სულ საპროცენტო შემოსავლის არმქონე ფინანსური აქტივები | 2,984 | - | - | - | - | 54 | 3,038 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **37,123** | **6,589** | **80,600** | **14,754** | **-** | **54** | **139,120** |
| ფინანსური ვალდებულებები: | | | | | | | |
| ბანკების დეპოზიტები | - | 3,516 | 52,292 | 6,213 | - | - | 62,021 |
| კლიენტების დეპოზიტები | 955 | 14 | 2,522 | - | 27 | - | 3,518 |
| ნასესხები სახსრები | - | - | 22,901 | - | - | - | 22,901 |
| სუბორდინირებული სესხები | - | 92 | 276 | 12,679 | - | - | 13,047 |
| სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები | 955 | 3,622 | 77,991 | 18,892 | 27 | - | 101,487 |
| ბანკების დეპოზიტები | 31 | - | - | - | - | - | 31 |
| კლიენტების დეპოზიტები | 14,766 | - | - | - | - | - | 14,766 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 237 | - | - | - | - | - | 237 |
| სულ საპროცენტო შემოსავლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები | 15,034 | - | - | - | - | - | 15,034 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **15,989** | **3,622** | **77,991** | **18,892** | **27** | **-** | **116,521** |
| საპროცენტო შემოსავლის მგრძნობიარობა | 33,184 | 2,967 | 2,609 | (4,138) | (27) | - | |
| **საპროცენტო შემოსავლის ჯამური მგრძნობიარობა** | **33,184** | **36,151** | **38,760** | **34,622** | **34,595** | **35,595** | |
| ლიკვიდობის პოზიცია | 21,134 | 2,967 | 2,609 | (4,138) | (27) | 54 | |
| **ლიკვიდობის ჯამური პოზიცია** | **21,134** | **24,101** | **26,710** | **22,572** | **22,545** | **22,599** | |

ზემოთ მოცემულ ცხრილში დაფარვის პირობები შეესაბამება კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს. თუმცა, ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ანაბრის ხელშეკრულება ვადაზე ადრე მოქმედი კანონის შესაბამისად.

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის დარჩენილ საკონტრაქტო ვალდებულებებს გადახდის წინასწარ შეთანხმებული პერიოდით. ცხრილი შედგა არადისკონტირებული ფულადი სახსრების შემოდინების საფუძველზე ბანკის მიერ მათი დაფარვის ყველაზე ადრეული თარიღის გათვალისწინებით. ცხრილი მოიცავს პროცენტისა და ძირითადი თანხის ფულადი სახსრების მოძრაობას. იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო შემოსავლები ემყარება ცვლად საპროცენტო განაკვეთს, არადისკონტირებული თანხები გამომდინარეობს საპროცენტო განაკვეთის მრუდებიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. კონტრაქტით გათვალისწინებული დაფარვის ვადა ემყარება ბანკის მიერ დაფარვის ყველაზე ადრეულ თარიღს.

| | საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | განუსაზღვრელი ვადა | 31 დეკემბერი, 2015 სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები | | | | | | | | |
| ბანკების დეპოზიტები | 9.04% | 2,903 | 5,853 | 34,841 | - | - | - | 43,597 |
| კლიენტების დეპოზიტები | 6.00% | - | - | 368 | 168 | - | - | 536 |
| ნასესხები სახსრები | 4.54% | - | 2,449 | - | - | - | - | 2,449 |
| სუბორდინირებული სესხი | 5.25% | - | - | - | 20,950 | - | - | 20,950 |
| სულ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებები | | 2,903 | 8,302 | 35,209 | 21,118 | - | - | 67,532 |
| საპროცენტო განაკვეთის არმქონე ინსტრუმენტები | | | | | | | | |
| ბანკების დეპოზიტები | | 43 | - | - | - | - | - | 43 |
| კლიენტების დეპოზიტები | | 39,529 | - | - | - | - | - | 39,529 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | | 100 | - | - | - | - | - | 100 |
| გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები | | 117 | - | - | - | - | - | 117 |
| გარანტიები | | - | 635 | 3,352 | 6,168 | - | - | 10,155 |
| სულ საპროცენტო განაკვეთის არმქონე ფინანსური ვალდებულებები გარანტიებისა და საკრედიტო ხაზის ვალდებულებების ჩათვლით | | 39,789 | 635 | 3,352 | 6,168 | - | - | 49,944 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | | **42,692** | **8,937** | **38,561** | **27,286** | **-** | **-** | **117,476** |

| | საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | განუსაზღვრელი ვადა | 31 დეკემბერი, 2015 სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები | | | | | | | | |
| ბანკების დეპოზიტები | 7.86% | - | 3,558 | 54,408 | 7,152 | - | - | 65,118 |
| კლიენტების დეპოზიტები | 7.65% | 955 | 14 | 3,221 | - | 34 | - | 4,224 |
| ნასესხები სახსრები | 4.24% | - | - | 24,147 | - | - | - | 24,147 |
| სუბორდინირებული სესხი | 5.25% | - | 92 | 276 | 8,378 | - | - | 8,746 |
| სულ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებები | | 955 | 3,664 | 82,052 | 15,530 | 34 | - | 102,235 |
| საპროცენტო განაკვეთის არმქონე ინსტრუმენტები | | | | | | | | |
| ბანკების დეპოზიტები | | 31 | - | - | - | - | - | 31 |
| კლიენტების დეპოზიტები | | 14,766 | - | - | - | - | - | 14,766 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | | 237 | - | - | - | - | - | 237 |
| გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები | | - | - | 44 | 3,130 | - | - | 3,174 |
| გარანტიები | | 970 | 3,093 | 6,508 | 8,737 | - | - | 19,308 |
| სულ საპროცენტო განაკვეთის არმქონე ფინანსური ვალდებულებები გარანტიებისა და საკრედიტო ხაზის ვალდებულებების ჩათვლით | | 16,004 | 3,093 | 6,552 | 11,867 | - | - | 37,516 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | | **16,959** | **6,757** | **88,604** | **27,397** | **34** | **-** | **139,751** |

ზემოთ მოცემულ ცხრილში ვადიანობა შეესაბამება კონტრაქტით განსაზღვრულ პირობებს. თუმცა, არსებული კანონმდებლობით, ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ, ვადაზე ადრე შეწყვიტონ ხელშეკრულება დეპოზიტის შესახებ.

ზემოთ მოტანილი თანხები, რომლებიც არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებსა და აქტივებზე არსებულ ცვლადგანაკვეთიან ინსტრუმენტებს ასახავს, შეიცვლება, თუ ცვლადი განაკვეთის ცვლილება საანგარიშო პერიოდის ბოლოს დადგენილი საპროცენტო გათვლების ცვლილებისგან განსხვავდება.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის ზემოთ მოცემული თანხები წარმოადგენს მაქსიმუმს, რისი ანაზღაურებაც, შეიძლება ბანკს მოეთხოვოს შეთანხმების მიხედვით, თუ ამ თანხაზე პრეტენზიას გამოთქვამენ კონტრაგენტები. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარემოებებზე დაყრდნობით, ბანკი მიიჩნევს, რომ გარიგების ფარგლებში არ წარმოიშვება ვალდებულებები. თუმცა, შეფასება დამოკიდებულია გარანტიის მომთხოვნი კონტრაგენტის ალბათობაზე, რომელიც წარმოადგენს იმის ფუნქციას, რომ კონტრაგენტის ხელთ არსებული გარანტირებული ფინანსური მოთხოვნა საკრედიტო ზარალს განიცდის.

***საბაზრო რისკი.*** საბაზრო რისკი არის ის რისკი, რომ ბანკის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს მოექცევა უარყოფითი გავლენის ქვეშ, საბაზრო განაკვეთების ან ფასების ცვლილებების ან არასტაბილურობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასების გავრცელების სხვა

რისკებს. ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია ბანკის მიერ რისკების გამოთვლის მეთოდებსა და რისკების მართვაში.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აგრეთვე მართავს საპროცენტო განაკვეთისა და საბაზრო რისკებს ბანკის საპროცენტო განაკვეთის პოზიციის ადეკვატურობით, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის პოზიტიურ საპროცენტო მარჟას. ფინანსური ზედამხედველობის დეპარტამენტი აწარმოებს ბანკის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას ბანკის მომგებიანობაზე.

ბანკი რეალური ღირებულების რისკს მართავს იმ პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით, რომლებიც შეიძლება ბაზრის პირობებში უარყოფითი ცვლილებებით იქნეს გამოწვეული. ბანკის ხელმძღვანელობა აკვირდება ბანკის მიმდინარე ფინანსურ მაჩვენებლებს და აფასებს, ერთი მხრივ, ბანკის მგრძნობიარობას რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთების მიმართ და, მეორე მხრივ, ამ მგრძნობიარობის ზეგავლენას ბანკის მომგებიანობაზე.

ქვემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზი ემყარება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულის მდგომარეობით არსებულ საპროცენტო განაკვეთებს. 100 საბაზისო ქულით ზრდა ან კლება გამოიყენება საპროცენტო განაკვეთების რისკების შიდა ანგარიშებში, რომელიც განკუთვნილია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის წარსადგენად და ასახავს მენეჯმენტის შეფასებას საპროცენტო განაკვეთების შესაძლო მისაღებ ცვლილებებზე.

საპროცენტო განაკვეთები 100 საბაზისო ქულით მაღალი/დაბალი რომ ყოფილიყო და ყველა სხვა სიდიდე მუდმივობას შეინარჩუნებდა, ბანკის მოგება და კაპიტალი 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შემცირდებოდა/გაიზრდებოდა 87 და 414 ათასი ლარით, შესაბამისად. (2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს ზრდა/კლება იქნებოდა, 233 ათასი/198 ათასი ლარი).

*სავალუტო რისკი.* სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევა გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების დადგენილი საფუძვლების ღია სავალუტო პოზიციის მართვით, რაც ბანკს აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სახაზინო განყოფილება ახორციელებს ბანკის ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს.

ბანკის რისკი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადებადობასთან მიმართებაში წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

| | ლარი | აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.3949 ლარი | ევრო 1 ევრო = 2.6169 ლარი | სხვა ვალუტა | 31 დეკემბერი, 2015 სულ |
|---|---|---|---|---|---|
| ფინანსური აქტივები | | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 16,936 | 23,336 | 69 | 13 | 40,354 |
| მინიმალური სავალდებულო ნაშთი სებ-ში | - | 11,469 | 884 | - | 12,353 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | - | - | - | - | - |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 35,567 | 45,139 | 14 | - | 80,720 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 54 | - | - | - | 54 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 247 | 223 | - | - | 470 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **52,804** | **80,167** | **967** | **13** | **133,951** |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | | |
| ბანკების დეპოზიტები | - | 43,640 | - | - | 43,640 |
| კლიენტების დეპოზიტები | 15,289 | 24,720 | 27 | 29 | 40,065 |
| ნასესხები სახსრები | - | 2,427 | - | - | 2,427 |
| სუბორდინირებული სესხები | - | 16,767 | - | - | 16,767 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 40 | 55 | - | - | 95 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **15,329** | **87,609** | **27** | **29** | **102,994** |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | **37,475** | **(7,442)** | **940** | **(16)** | **30,957** |

| | ლარი | აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 1.8636 ლარი | ევრო 1 ევრო = 2.2656 ლარი | სხვა ვალუტა | 31 დეკემბერი, 2014 სულ |
|---|---|---|---|---|---|
| ფინანსური აქტივები | | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 6,933 | 8,002 | 2,078 | 24 | 17,037 |
| მინიმალური სავალდებულო ნაშთი სებ-ში | - | 10,518 | 683 | - | 11,201 |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | - | 18,669 | 9,064 | - | 27,733 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 27,606 | 55,229 | 15 | - | 82,850 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | 54 | - | - | - | 54 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 103 | 29 | 113 | - | 245 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **34,696** | **92,447** | **11,953** | **24** | **139,120** |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | | |
| ბანკების დეპოზიტები | - | 52,988 | 9,064 | - | 62,052 |
| კლიენტების დეპოზიტები | 5,721 | 12,485 | 78 | - | 18,284 |
| ნასესხები სახსრები | - | 18,380 | 4,521 | - | 22,901 |
| სუბორდინირებული სესხები | - | 13,047 | - | - | 13,047 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 115 | 122 | - | - | 237 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **5,836** | **97,022** | **13,663** | **-** | **116,521** |
| **ღია საბალანსო პოზიცია** | **28,860** | **(4,575)** | **(1,710)** | **24** | **22,599** |

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის მგრძნობელობას 20%-იან ზრდასა და შემცირებაზე, ლარის შესაბამის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წარდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად ერთეულს და აკორექტირებს მათ გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 20%-იანი ცვლილებით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს გარე სესხებსა და სესხებს უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე ბანკში, სადაც სესხი დენომინირებულია მსესხებლის, ან კრედიტორის ვალუტისაგან განსხვავებულ ერთეულში. ქვემოთ მოცემული პოზიტიური რიცხვი გვიჩვენებს მოგებისა და კაპიტალის ზრდას, სადაც ლარის კურსი მყარდება 20 პროცენტით შესაბამის ვალუტასთან შედარებით. ლარის შესაბამის ვალუტასთან მიმართებაში 20 პროცენტით შესუსტება გამოიწვევს სხვაობის გავლენას მოგებასა და კაპიტალზე და ქვემოთ მოცემული ნაშთები უარყოფითი იქნებოდა.

| | 31 დეკემბერი, 2015 | | 31 დეკემბერი, 2014 | |
|---|---|---|---|---|
| | ლარი/აშშ დოლარი +20% | ლარი/აშშ დოლარი -20% | ლარი/აშშ დოლარი +20% | ლარი/აშშ დოლარი -20% |
| გავლენა მოგებაზე/ზარალზე გადასახადებამდე | (1,488) | 1,488 | (914) | 914 |
| გავლენა კაპიტალზე | (1,265) | 1,265 | (776) | 776 |

| | 31 დეკემბერი, 2015 | | 31 დეკემბერი, 2014 | |
|---|---|---|---|---|
| | ლარი/ევრო +20% | ლარი/ევრო -20% | ლარი/ევრო +20% | ლარი/ევრო -20% |
| გავლენა მოგებაზე/ზარალზე გადასახადებამდე | 187 | (187) | (342) | 342 |
| გავლენა კაპიტალზე | 159 | (159) | (291) | 291 |

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები. ზემოთ მოცემული ცხრილი ახდენს ძირითად დაშვებებში ცვლილებების შედეგების დემონსტრირებას, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძნობიარობა არ არის წრფივი და უფრო დიდი, ან პატარა გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული, ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან გამომდინარე.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბანკის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ბანკის ფინანსური პოზიცია შეიძლება იცვლებოდეს იმ დროისათვის, როდესაც ფაქტიური საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად ბანკის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ვინაიდან საინვესტიციო ბაზარს ახასიათებს სხვადასხვა ცვლილებების დონე მართვის ქმედებებმა შესაძლოა მოიცვას ინვესტიციების გაყიდვა, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებები და სხვა დაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტიურ გავლენას შეიძლება არ ქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საბაზრო ღირებულებით აღირიცხებიან. ასეთ გარემოებებში აქტივებისა და ვალდებულებების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები მგრძნობელობის ანალიზში მოიცავს სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს ბანკის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა

დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

***საოპერაციო რისკი.*** საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის და გარე მოვლენების შედეგად. თუ კონტროლი არ მუშაობს, საოპერაციო რისკმა შეიძლება ავნოს კომპანიის რეპუტაციას, გამოიწვიოს იურიდიული სირთულეები და ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ იგი ცდილობს მართოს აღნიშნული რისკები, დაამყაროს კონტროლი გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების ეფექტიან პროცედურებს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

## 28. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

წინამდებარე შენიშვნაში არ არის მოცემული ინფორმაცია ბანკსა და მის შვილობილ კომპანიებს შორის მიმდინარე ტრანზაქციები, თუ ეს უკანასკნელი ბანკთან დაკავშირებულ მხარეებად ითვლება. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ბანკსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციების შესახებ:

| | 31 დეკემბერი, 2015 | | 31 დეკემბერი, 2014 | |
|---|---|---|---|---|
| | დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები | კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით | დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები | კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 4,223 | 40,354 | 9,355 | 17,037 |
| - *დამფუძნებელი* | 4,083 | | 9,146 | |
| - *კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ* | 140 | | 209 | |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | - | - | 27,733 | 27,733 |
| - *დამფუძნებელი* | - | | 27,733 | |
| - *სხვა დაკავშირებული მხარეები* | - | | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 3,371 | 95,626 | 274 | 101,113 |
| - *ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა* | 281 | | 274 | |
| - *აქციონერი* | 45 | | | |
| - *კომპანიები ერთობლივ კონტროლს ქვეშ* | 3,045 | | | |
| გაუფასურების დანაკარგების რეზერვი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე | (1,898) | (14,906) | (107) | (18,263) |
| - *აქციონერი* | (4) | | - | |
| - *ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა* | (8) | | (107) | |
| - *კომპანიები ერთობლივ კონტროლს ქვეშ* | (1,886) | | - | |
| ბანკების დეპოზიტები | (42,397) | (43,640) | (52,956) | (62,052) |
| - *დამფუძნებელი* | (42,397) | | (52,956) | |
| კლიენტების დეპოზიტები | (14) | (40,065) | (48) | (18,284) |
| - *ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა* | (14) | | (48) | |
| სუბორდინირებული სესხები | (16,612) | (16,767) | (13,047) | (13,047) |
| - *დამფუძნებელი* | (16,612) | | (13,047) | |

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს:

| | 2015 | | 2014 | |
|---|---|---|---|---|
| | ტრანზაქციები დაკავში-რებულ მხარეებთან | კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით | ტრანზაქციები დაკავში-რებულ მხარეებთან | კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით |
| უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება: | | | | |
| - *თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურება* | 582 | 1,538 | 582 | 1,378 |
| სულ | 582 | 1,538 | 582 | 1,378 |

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის მოგება-ზარალის ანგარიშგება მოიცავს შემდეგ თანხებს, რომლებიც აღიარებული იქნა მხარეებთან ოპერაციების შედეგად:

| | 2015 | | 2014 | |
|---|---|---|---|---|
| | ტრანზაქციები დაკავში-რებულ მხარეებთან | კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით | ტრანზაქციები დაკავში-რებულ მხარეებთან | კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით |
| საპროცენტო შემოსავალი | 351 | 15,196 | 153 | 12,520 |
| - *დამფუძნებელი* | - | | 133 | |
| - *ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა* | 24 | | 20 | |
| - *სხვა დაკავშირებული მხარეები* | 327 | | - | |
| საპროცენტო ხარჯი | (5,265) | (7,161) | (5,232) | (5,893) |
| - *დამფუძნებელი* | (5,265) | | (5,232) | |
| საკომისიო შემოსავლები | 574 | 1,444 | 378 | 1,071 |
| - *დამფუძნებელი* | 574 | | 378 | |
| საოპერაციო ხარჯები | (582) | (3,106) | (582) | (2,985) |
| - *დამფუძნებელი* | (582) | | (582) | |

## 29. შემდგომი მოვლენები

საანგარიშო წლის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

## 30. ფინანსური ანგარიშების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშები დაამტკიცა და მათი გამოცემის უფლება გასცა 2016 წლის 21 მარტს.